

პიონერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მ ა რ ს ი

N5-6

■ 9 3 ■

ს ა ს ე ლ ბ ა მ ი

მუხათა საქმისათვის: იჭავ მზად!

პ ი რ ნ ე რ ი

პირნარების და მოსწავლეთა სოციალისტური-
ლიბერალური შერნაღი.

საქართველოს ბ. კ. რ. ცენტრალური ბიუროს და
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალისტური
აღვრდის მთავარმართმებლობია შუჩნაღი—გაგზ.
თათვის.

№ 5-6

მ ა რ ტ ი
1931
წელიწადი მე-6
ჩადაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ.
№ 22.
სახელამი,
საგავუმო სემიია



ს ა რ რ ე ვ ი:

- სოციალისტურ რესპუბლიკების
საბჭოთა მე-6 ყრილობა.
- პარიზის კომინა.
- ბარიკადაზე
- რემედასის დღე
- კომუნის ხსოვნას
- კომუნარები
- ბარიკადებზე
- პარიზის კომუნის მონაწილის
მოგონება
- პატარა ბრიგადელები
- ჩქარი, ჩქარი, ჩქარი
- გაუმარჯოს კომუნას
- ქალთა საერთაშორისო კომუნი-
სტური დღე
- გაზეთი (დამატება)
- ვიბროლოთ კომუნისტური სა-
ბავშო წიგნისთვის
- ინტერვენციის მედროშენი მე-2
ინტერნაციონალიდან
- კულტესტაფეტის მიზანი და
ამოცანები
- ბატონ პუანკარეს აღსასრული
- ილოს შეჯიბრი
- ვინ არიან ორქოფები
- სტუმრად ყრუ-მუნჯთა სკოლა-
ში
- ქალი საბჭოს თავმჯდომარე
- სარემონტო ქარხნებში
- წითელი ქარავანები
- ზეიმი თბილისში
- ძვირფასო ამხანაგებო!

დამკვრელი მუნა ქალები კოპერაციონი. მხატვრობა აღდადანოვის

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების 5-წლიანი გეგმის 2 წელიწადი უკვე შესრულდა. ეს არის ისტორიული ეპოქა, გარდატეხის ეპოქა, რომელიც გვაშორებს საბჭოების მე-5 საკ. ყრილობიდან.

თუ საბჭოთა მე-6 ყრილობაზე მთელი სიღრმით იქნა დასმული დღის წესრიგში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პრობლემა, მე-5 ყრილობაზე მთელი ყურადღება მიქცეული იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალისტური რეკონსტრუქციისკენ, და დღეს ჩვენი გენერალური ხაზი საკ. საბჭოების მე-6 ყრილობისათვის უკვე სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევით განისაზღვრება.

აღსანიშნავია სამარცხვინოდ დამთავრება კაპიტალისტური ეკონომისტ პუბლიცისტების ღადაღისა კაპიტალისტური სისტემის აყვავებაზე. გასული ორი წლის განმავლობაში მხოლოდ გრძელდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნების შორის ურთიერთ შორის დამოკიდებულებათა გამწვავება და ეკონომიური კრიზისი. ამ ორი წლის განმავლობაშივე კი შეუჩერებლივ იზრდებოდა და ფართოდებოდა ტემპები საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობისა, რაც მთელ მსოფლიოს აკვირვებდა და თანაც თავზარს სცემდა.

რით ხასიათდება ეს ახალი პერიოდი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით საკ. მე-5 საბჭოთა ყრილობის შემდეგ? უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის აქტივობის ზრდით, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, და მათ შორის საწარმოო კავშირის განმტკიცებით.

სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, შემხვედრი საწ. საფი-

ნანსო გეგმა და მუშაობის სხვა მრავალი სოციალისტური მეთოდი და ფორმა საფუძვლად დაედო ჩვენს საფაბრიკო - საქარხნო ცხოვრებას.

სოციალიზმის მშენებელთა მილი-



ყრილობის პრეზიდიუმი: ამბ. ამბ. სულიმოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ენუქიძე, კალინინი, პოსტიშევი, ორჯონიკიძე და სხვ.

ონებიანი ახალი აქტივი დამკვრელებისა და კოლმეურნეთა სახით შევიდა საბჭოებში და აღმასკომებში, რომ ბოლშევიკურად გადააკეთოს მათი მუშაობა და შეასრულოს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანები. მაგ. თუ 1929 წელს ამომრჩეველთა აქტივობა მთელ საბჭოთა კავშირში 63,5 შეადგენდა, 1931 წელს უკვე 71,8 ავიდა.



ჩაქვა. ჩაის კრეფა

აღსანიშნავია ისიც, რომ ინდუსტრიალიზაციის დარგში მიღწეული წარმატების საფუძველზე მოხდა სოციალური ძვრები, რამაც საშუალება მისცა საბჭოთა ხელისუფლებას, კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასულიყო კულაკობის როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველებზე.

სოფლად ჩვენ შევქმენით საიმედო დასაყრდენი კოლმეურნეთა სახით, და საგრძნობლად გაიზარდა პროლეტარიატიც, რის შედეგადაც გაძლიერდა მისი ხელმძღვანელობითი როლიც.

სოციალისტური ინდუსტრიის ბაზამ - მძიმე ინდუსტრიამ — გააძლიერა თავისი არსებითი მნიშვნელობა

და მთელი მრეწველობის განვითარების ტემპებმა რამდენიმე წლით წინ გაუსწრეს 5-წლიდით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. აგრეთვე კოლექტივიზაციის ტემპებმაც გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს და საშუალო გლეხი მასიურად წავიდა კოლმეურნეობაში, რითაც 5-წლიდის დავალებანი არა მარტო მის გათავებამდე შესრულდა, არამედ გადააცილა კიდეც.


ვერ აფუვლით გვერდს ნაციონალური რესპუბლიკების მშენებლობას და მიღწევებს. მეფის დროს ყველაზე ვერო ეკონომიურად და კულტურულად ჩამოჩენილი ხალხები დღეს სოციალისტური შეტევის პირველ პოზიციებზე იბრძვიან.

სოცმშენებლობის ეს წარმატებანი და მიღწევები გამწვავებული კლასიური ბრძოლის პირობებში ტარდება. კაპიტალისტური ელემენტების ნარჩენები ქალაქში და სოფლად გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწვივენ. კულაკების ტერორი, გასამართებული კონტრრევოლუციონური ორგანიზაციები „სამრეწველო პარტია“ ქმენშევიკ-ინტერვენციონისტები, ესერულ კულაკური პარტიის სულის-ჩამდგმელთა მუშაობა საკმაოდ ამტკიცებს ყოველ შემოთქმულს.

მიუხედავად კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ომის მზადებისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიუხედავად კლასიური მტრის სასტიკი წინააღმდეგობის და მავნებლობისა შიგნით, ჩვენი ქვეყანა როგორც დღემდე, ისე მომავალშიც ივლის ურყევად კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით წინ, ახალი გამარჯვებისაკენ, წინ 5-წლიდის მესამე წლის წარმატებით შესრულებებისათვის, როგორც ეს დაუსახა ამ დღეებში დამთავრებულმა საკ. საბჭოების მე-6 ყრილობამ.



რუსულენოვანი 1917-მე-10-წლიანი რევოლუციის დროს



ამბ. სტალინის სახელობის შაქრის ქარხანაში უკრაინაში



სურათები პარიზის კომუნის დროიდან.

მსაჯულბა ი. ტიმოფევის

კომუნა იყო პირველი ცდა პროლეტარიატისა ამაღლ ხელში სახელმწიფო კალაშუ-
ლება, რომელიც აქამდე მუშათა კლასის ჩაბვის იარაღი იყო და გამოეყენებოდა ის თავისი
განთავისუფლების იარაღად.

„პარიზი მუშებისა, მისი კომუნით, მუდამ დიდი პატივით იქნება მოხსენებული, რო-
გორც ახალი მუშების დიდებული წინამორბედი. მისმა წამოგულბებამ აიგავს კვლავ მუ-
შათა კლასის დიად გულში, მისი ჯალათები გააკაბ ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე,
რომელიდანაც მათ ვერავითარი ძალა ვერ მოგლწევა.“ (მარქსი).

თავისი შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით პარიზის კომუნა, კ. მარქსის შეფასებით, იყო მუშათა მთავრობის და პროლეტარიატის დიქტატურის პირველი მაგალითი.

„კომუნარების გამორბამ და ზარბაზნების გრიადმა გამოადვილა ის ჩამორჩენილი ფენები, რომელთაც საღათას ძილით ეძინათ და ხელი შეუწყო ყოველგვარი რევოლუციონურ სოციალისტურ პროპაგანდის გაძლიერებას“ (ლენინი).

კლასთა წინასწორების მერყევი ნიადაგზე წარმოშობილ ნაპოლეონ მესამის სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას ხელი შეუწყო 1848 წ. რევოლუციის მიერ შეინებული რეპუბლიკური და ბურჟუაზიული ძალების გაერთიანებამ რევოლუციონურად განწყობილი მასების წინააღმდეგ, რომ თითოეულ კლასს თავი გადაერჩინა კომუნისა და მოხალდნელი მშრომელ კლასის დიქტატურის საშინოებისაგან.

იმპერიის მთავარ დასაყრდნობ ძალას წარმოადგენდა მსხვილი ფინანსური ბურჟუაზია და კათოლიკური სამღვდლოება. კ. პარიზის საქარხნო-საფაბრიკო პროლეტარიატის რიცხვი შეადგენდა პარიზის მუშათა ერთ-მეცხრე ნაწილს მშრომელ გლეხობასთან ერთად, მუშები სასტიკ ეკონომიურ სივიწროეს და სიღატაკეს განიცდიდა.

60-იან წლებში საფრანგეთის მუშათა კლასში ფართოდ ვრცელდება ინტერნაციონალური იდეები, მაგრამ პირველი ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციის უმრავლესობას წარმოადგენდნენ წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის მიმდევრები — პრუდონისტები. მეცნიერული სოციალიზმის მამამთავარი კი კარლ მარქსი იყო.

სახელმწიფოს რეპრესიებმა 1867 წ. ხელი შეუწყო ინტერნაციონალის მომზრების ზრდას. პრუდონისტების ნაცვლად მუშათა მოძრაობამ, ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, წამოაყენა ახალი იდეოლოგიები და ბელადები. ესენი იყვნენ ერ-

თის მხრივ ბლანკისტები და მეორე მხრივ მემარცხენე პრუდონისტები.


ო. ბლანკი იყო კომუნის მამამთავარი. მისი აზრით, კომუნის დამყარება შეუძლებელი იყო შეიარაღებული აჯანყებისა და ბურჟუაზიის ძალდატანებით დამხობის გარეშე.

პროლეტარიატის დიქტატურას ანხორცილებდნენ ენერგიით სავსე ერთი მუჭა რევოლუციონერები, რომელნიც სრულიად არ იყვნენ დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან. ამრიგად ისინი ვერ აფასებდნენ უმრავლესობის პროლეტარიატის როლს რევოლუციაში.

იმპერიის უნეში პოლიტიკის წყალობით საფრანგეთ-პრუსიის დამოკიდებულება ძალზე გამწვავდა. პრუსია, რომელიც გაერთიანებისკენ მიისწრაფოდა, ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის ინტერსებს და საბოლოოდ საფრანგეთმა ომი გამოუცხადა პრუსიას. ამ ომში საფრანგეთის სასტიკად დამარცხდა. ხედანთან საფრანგეთის ჯარმთავარსარდლის მაკ-მაგონის ხელმძღვანელობით საბოლოოდ განადგურდა — 40,000 ჯარისკაცი თავისი გენერლებით პრუსიის ჯარებს ტყვედ ჩუვარდა.

ხედანთან დამარცხებამ აღმოუტება გამოიწვია და 1870 წ. 4 სექტემბერს, პარიზის რევოლუციონერმა მასებმა ნაპოლეონ მე სამე მთელი დინასტიით ჩამოაგდეს, და გამოცხადდა მესამე რესპუბლიკა. შეიქმნა დროებითი მთავრობა, „ნაციონალური თავდაცვის მთავრობა“, ბურჟუაზიული რესპუბლიკანელების მეთაურობით.

ამავე წლის ოქტომბერში, დროებითი მთავრობის მდგომარეობა უფრო გართულდა. ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება დღით-დღე აუტანელი ხდებოდა.



კომუნის კომიტეტის მოწოდება კომუნარებისადმი

მასებში ფეხი მოიკიდა 1798 წლის ძველმა რევოლუციონერმა იდეებმა.

1871 წლის 21 იანვარს რესპუბლიკანელთა საბჭოს წევრები შეეცადნენ გამოეცხადებინათ კომუნა, მაგრამ აღნიშნული ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ზავის შესაკრავად მოლაპარაკების ინიციატივა დროებითაა მთავრობამ აიღო. 28 იანვარს ოფიციალურ ორგანოში უკვე მოთავსებული იყო კაპიტულიაციის პირობები.

8 თებერვალს გამოქვეყნდა ეროვნული კრების არჩევნების შედეგები. პარიზში სხმა მისცა რესპუბლიკას და ომის გაგრძელებას, პროვინციებში ეროვნულ კრებაში გაგზავნეს რეპროზენტები; როდესაც შეიკრიბა ეროვნული კრება, 750 დეპუტატში 450 აღმოჩნდა მონარქისტი. კრება გაიხსნა 18 თებერვალს ქალაქ ბორდოში. კრებამ დროებით „აღმოსრულებელი ძალა-უფლებების“ ხელმძღვანელობა მიანიჭა ლუი-ფილიპე ორლეანელის ყოფილ მინისტრს და ჯალათს ტერს.

ტიმარმა მიიღო რა მინისტრების დანიშვნის უფლება, შეადგინა ახალი საბინეტი.

27 თებერვალს ეროვნულმა კრებამ, 546 ხმით 107-ის წინააღმდეგ მიიღო სამარცხვინო ზავის პირობები.

რევოლუციონერი ორგანიზაციები პარიზის უბნებში შეუდგნენ გაცხოველებული ორგანიზაციულ მუშაობას არსებული ეროვნული გვარდიის ფედერაციის შესაქმნელად. და ჩამოაყალიბეს მისი ცენტრ. კომიტეტი.

მდგომარეობის გართულების გამო, 11 მარტიდან ეროვნულმა კრებამ თავისი სხდომები მეფეების ძველ რეზიდენციაში ვერსალში გადაიტანა.

ეროვნული კრება მარტო ამით არ დაკმაყოფილდა, ის შეუდგა რესპუბლიკის მომხრე გავრცელების დახურვას. ოქტომბრის გამოსვლებში მონაწილეებს სიკვდილით და სჯა მიუსაჯეს.

რადგან გვარდია მშრომელი ელემენტებისაგან შესდგებოდა და თანაც, შექმნილი პირობების გამო, ის განწყობილი იყო მთავრობის საწინააღმდეგოდ ეროვნულმა კრებამ დაადგინა ეროვნული გვარდიის განარაღება, მაგრამ 18 მარტს ჯარი გვარდიის მხარეზე გადავიდა, და ტიერმა ვერ შესძლო თავისი ოპერაციის დაგეგმვინება, და იგი იძულებული შეიქნა დაენია უკან პარიზიდან ვერსალში, ქალაქი დარჩა „კანონიერი“ ხელისუფლების ფორუმად. 19 მარტს კი პარიზის ქალაქის თვითმართვლობას თავისუფლების წითელი დროშა ამშვენებდა.

პარიზმა მიიღო ახალი დროებითი მთავრობა, რომელსაც პირველ ხანებში „უცნობთა მთავრობა“ ერქვა. ამ ახალ მთავრობაში არ იყო გაბატონებული კლასების არცერთი წარმომადგენელი.

და ეს „უსახელო“ ორგანიზაცია განსაზღვრულ მომენტში უფრო გაბედულად დახვდა 18 მარტის რევოლუციას, ვიდრე მაშინდელი სოციალისტური ორგანიზაციები.

ეროვნული გვარდიის ცენტრ. კომიტეტისთვის, რომელიც სრულიად არ ემზადებოდა აჯანყებისათვის, 18 მარტის რევოლუცია მოულოდნელი შეიქნა.

პირველ ხანებში კენტრ. კომიტეტს ნათლათ არ ჰქონდა წარმოდგენილი 18 მარტის რევოლუციის ხასიათი და მისი პროლეტარული ბუნება.

ათ დღის (18-27 მარტამდე), რომლის განმავლობაშიც ც. კ. დროებით რევოლუციონერი მთავრობის სათავეში იდგა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მოძრაობისათვის, მაგრამ ც. კ. ვერ გაამართლა მთლიანად რევოლუციის ამოცანები. ძალაუფლების აღების შემდეგ ცენტრ. კომიტეტს მთელი ძალები უნდა მიემართა მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად. მას უნდა დაეპატიმრებია მთავრობა, განეარაღებია პოლიცია, უანდამერია და ჯარი. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ჯარები მოახერხებდნენ პარიზიდან უკან დახევას, საჭირო იყო მთელი ეროვნული გვარდიის ძალების მოზილიზაცია და ვერსალზე გალაშქრება, რეპროზენტური ეროვნული კრების გარეკვის მიზნით. შემდეგ საჭირო იყო პროვინციის პროლეტარულ ცენტრებთან კავშირის დაქვერ და ამ გზით რევოლუციის ცეცხლის გადატანა მთელს საფრანგეთში. იმ დროს, როდესაც პროლეტარულ



კომუნარების კედელი პერლანშესის სასაფლაოზე

კომუნის დროშა

ლი რევოლუციის მტრები პარიზში თავისუფლად სცემდნენ შავრახმულ ვაჭუთებს. აწყობდნენ კრებებს და შეიარაღებულ დემონსტრაციებს ც. კ. წინააღმდეგ, ც. კ. მთავარ ყურადღებას აქცევდა კომუნის არჩევნების საჩქაროდ ჩატარებას.

„როდესაც ცენტრ. კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნაში არჩეულთა სია, ზარბაზნების გრიკლმა მოულოდნელად შესძრა მთელი ქალაქი და მრავალი ათასი გულოდან აღმოსკდა ისეთი აღფრთოვანებული ყიჟინა რესპუბლიკისა და კომუნის ასე ერთსულოვნად და გადაჭრით გამოცხადების გამო, რომ ამ დღესასწაულზე დამსწრეთ არა სოდეს არ დაავიწყდებოთ ეს. ასიათასმა თოფმა გაიღევა ასიათასი ცეცხლით და აღიშართა რა ასი ათას ქუდმოდხილ თავის ზევით, შეშფიცა მთელ ხალხს: „ან გამარჯვება, ან სიკვდილი“.

კომუნის წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ „წმინდა რესპუბლიკანები“, ანუ იაკობინელები, კომუნის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდნენ 1848 წ. რევოლუციის მონაწილენი, თავდადებული რევოლუციონერები, და მებრძოლნი: მიხუცი დელეკლიუსი, ფელიქს პია, მის და გამბონი. კომუნის მოუხდა მუშაობის წარმოება ძლიერ რთულ პირობებში, ტიერის მთავრობამ მიიღო ყოველივე ზომები პარიზის მართვლობაში არეც-დარეცის გამოსაწვევად. 19 მარტის ცირკულარით ტიერმა წინადადება მისცა სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს, რომ მათ არავითარი ბრძანება არ შეესრულებათ, თუ ის არ ეუთვნება ვერსალის კანონიერ მთავრობას. ამგვარად ორი მთავრობა მოქმედობდა.



კომუნარი ქალები ბრძოლაში

ახალმა პროლეტარულმა სახელმწიფომ —კომუნამ—მთლად არ დაანგრა ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი, მაგრამ 29 მარტის დეკრეტით მან გააუქმა მუდმივი ჯარი და ეროვნული გვარდია გამოაცხადა პარიზის ერთად-მრთ შეიარაღებულ ძალად. კომუნამ გააუქმა ის აპარატი, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზიას დღესაც ბრმა მორჩილებაში ჰყავს მშრომელი მასები. 3 აპრილის დეკრეტით, კომუნამ ეკლესია გამოაყუ სახელმწიფოდან, გააუქმა საეკლესიო ბიუჯეტი და მთელი ჩამორთმეული ქონება, რომელიც ეკუთვნოდა რელიგიურ საზოგადოებებს, ნაციონალურ კუთვნილებად გამოაცხადა. კომუნა შეეცადა აგრეთვე რეფორმის გატარებას სასამართლოს ორგანოებში, მაგრამ ობიექტურმა პირობებმა ხელი შეუშალა აღნიშნული რეფორმის გატარებას. გაუქმებულ იქნა ძველი პოლიცია, უბნებში პოლიციის მოვალეობის შესრულება ეროვნული გვარდიის საგანგებო ნაწილებს დაეკისრა.

საზოგადოებრივი უზრუნველყოფის კომისიამ, რომელიც ცენტრ-რევოლუციისთან საბრძოლველად დაარსდა, პარიზში 20 ბურჟუაზიულ გავითი დახურა.

ტიერმა კარგად იცოდა, რომ მას არ ეყოფოდა 23,000 ჯარისკაცი, და სწრაფად შეუდგა დარჩენილი შეიარაღებული ძალების დარაზმვას. პარიზის ნახევარში ვერსალის არმიის ითვლებოდა 170 ათასი ჯარისკაცი, და 130 ათასი მათგან უკვე მზად იყო ბრძოლისათვის.

ჯარს ხელმძღვანელობდნენ სოციალიზმისა და რესპუბლიკის ისტორიული მტრები —ბონაპარტის ყოფილი აფიცრები: მაკმაგონი, გალიფე და სხვანი. ძალების მოკრების შემდეგ ვერსალელმა დაიწყეს შეტევა პარიზზე. ტიერის მრავალრიცხოვანი და დისციპლინისიანი ჯარისთვის კომუნას შეეძლო დაეპირისპირებინა მხოლოდ მცირერიცხოვანი და სუსტდისციპლინისი რაზმები.

23 მაისის დღის 3 საათზე ვერსალელების არმია უკვე შეიჭრა ქალაქში. საფრთხის წინაშე გაიღვიძა პარიზის პროლეტარიატის ძველმა გმირობამ. საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტმა, კომუნის ცენტრალურმა კომიტეტმა და კომუნის ხელისუფლების ორგანოებმა მიმართეს ხალხს მგრძობობიერი მოწოდებით, მოუწოდებდნენ მას საბოლოო გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. „გზა ხალხს, —სწერდა თავის მოწოდებაში სამხედრო მინისტრი დელეკლიუსი, —გზა მეგობრებს, გზა შიშველ დაკოყრილ ხელებს! დაჭკრა რევოლუციონერი ბრძოლის სათამაშ! დღე ამხედრდეს ყოველი კეთილი, პატიოსანი მოქალაქე, —სწერდა საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტი—ბარიკადებისაკენ! მტერი შემოგვივიდა სახლში. ნუ დაგვიანებთ! წინ რესპუბლიკის, კომუნის თავისუფლების საქმისათვის!“ მამამ უკვე გვიან იყო. ვერსალელებმა პარიზში თავი მოუყარეს 50 ათასიან არმიას და მოასწრეს პარიზის ერთი-მეხუთედის ნაწილის დაკავება.

სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლა მცირერიცხოვანი კომუნარებისა ვერსალელების 150-ათასიან ჯართან. 27 მაისს დაეცა კომუნის უკანასკნელი სიმაგრეები—ბელვოლის და შიმონის მაღლობები, 28 მაისს ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო. კომუნის უკანასკნელი დმცველები დახვრიტეს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, „კომუნარების კედელთან“. შეუღარბელი მამაცობით იცავდნენ კომუნარები თითოეულ ბარიკადას, თითოეულ ქუჩას, თითოეულ სახლს. ერთიმეორეზე იღუპებოდნენ მამაცი მებრძოლნი—მამაკაცები, ქალები და ბავშვები.

კომუნის ისტორიკოსის გურჟენის გადმოცემით მარტო „სოსლოანი კვირის“ განმავლობაში მოკლულთა საერთო რიცხვი 80 ათასამდე აღწევდა. ქრილობისაგან და ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა 8500 კომუნარი, სასამართლოს გადაეცა 40 ათასი კომუნარი, მათში 14 ათასს მოუსაჯეს გადასახლება და კატორღა; და, ბოლოს, 70 ათასი ქალი, ბავში და მოსუცი დარჩა სრულიად უპატრონოდ ქუჩაში გაგდებული და არსებობის საღასარს მოკლებული, ასეთი იყო ტიერის მართლმსაჯულება.

ვერსალის არმიის ხელმძღვანელ მაკმაგონის ჩვენების თანახმად, სრულიად უმნიშვნელო იყო მოკლულთა რიცხვი—6454, უფრო უკვლად დაკარგულთა რიცხვი—188, სულ—7471 კაცი.

რა იყო კომუნის დამარცხების მიზეზი? მოექცა რა ხელისუფლების სათავეში, ეროვნული გვარდიის ცენტრალურ კომიტეტს არ ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა

სოციალური რევოლუციის შესახებ. მისი შეზღუდვებით ახალი საზოგადოებრივი წყობილების განხორციელება უნდა მომხდარიყო მუშების, ინტელიგენციის, წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის დემოკრატიული ბლოკის ნიადაგზე.

ც. კ. იმის მაგივრად, რომ გადამწყვეტი ზომები მიეღო მტრის საბოლოო განადგურებისათვის, ჩაეტარებია თავისი ძალების სწრაფი მოზილიზაცია ვერსალზე გასალაშქრებლად და რეაქციონური ეროვნული კრების დასაპატიმრებლად, პასიური თავ-

დაცვის ტაქტიკას ადგა. ტიერმა ისარგებლა ხანმოკლე შესვენებით, გამოიყენა ის, ვისიგნება, რომ შემდგომ თვითონ ცდებოდა შეტევას პარიზის წინააღმდეგ.

კომუნამ ამას გარდა დაუშვა მთელი რიგი შეცდომები, მან არ მიიღო რადიკალური ზომები რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, რომელნიც ბუდობდნენ თვით პარიზში. კომუნამ თავიდანვე არ აკრძალა ბურჟუაზიული პრესა.

კომუნის დამარცხება უმთავრესად მაშინდელი სოციალისტური ორგანიზაციების და ინტერნაციონალის სექციების მოუშვადებლობით აიხსნება. კომუნის არსებობის დროს არ იყო ისეთი პარტია, რომელსაც შეეძლო მისთვის ხელმძღვანელობის გაწევა და სათანადო გეზის მიცემა.

კომუნას არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა. მას კიდევ ვერ დაეხწია თავი დემოკრატიული ილუზიების გავლენისაგან. გარკვეული სამოქმედო პროგრამის და პროვინციასთან კავშირის უქონლობა კომუნის მთელი ისტორია ტრადედიად აქცია.

მიუხედავად ამისა, კომუნის გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობა მოძრაობისათვის, კომუნის შეცდომები გათვალისწინებულ იქნა პროლეტარიატის და მისი ხელმძღვანელი პარტიის მიერ, რომელთაც შესძლეს ამ შეცდომების თავიდან აცილება.

ოქტომბრის რევოლუციამ პირნათლად შესარულა კომუნის მიერ დაწყებული საქმე და საკაცობრიო ისტორიაში გადაშალა რევოლუციონური ისტორიის ახალი ფურცლები.

ბ ა რ ი კ ა ლ ა ზ ე

სადაც სდიოდა მშრომელთა სისხლი, ტყვედ თორმეტი წლის ჩავარდა ბალლიც.


—თუ იყავ მითთან, ვერავენ გიხსნის.
—დახ, მეც ვიყავ, თოფით და ნაღვით.
„წყელშიც იყავ, შე არამზადავ“!
ბავშს კაპიტანი მრისხანეთ ახლის—
„ავაზაკებთან შენც მოემზადე;
განგმირულთ ერთად მიწაზე დაგყრი“...
ისევ ბავშვის წინ იელვა ტყვიამ,
ამხანაგები კვდებიან უხმოლ;
კედელთან მათი გვამები ჰყრია,
ბავშს მათთან ერთად სიკვდილი უხმოლს.
უფროსს სთხოვს ბალლი: „მომეცი თნება,
რომ ეს საათი გადავცე დედას“.
—გაპარვა გინდა. ჩანს, გენანება
შენი სიცოცხლე: სიკვდილს ვერ ბედევ...
—მე კაპიტანო, მერწმუნეთ მოვალ.
—„სად ცხოვრობ, ნეტავ“.—„ფონტანთან, აქვე“.
„მამ, წადი მალე“ და ბავშიც გაქრა.
შესკდა სიცილი ჯარის კედაროს,
მომაკვდავების დაჰვარა კენესა :
„ამ ჭიას ხერხში ვინ შეედაროს!
უკან მოვალო, დახეთ, ამ ეშმაკს“...
და როცა ბავში მოვიდა ისევ,—
არ მოელოდა არავინ ამას,—
სიცილი ყველგან მიყუჩდა მყისვე
და ყველა სიტყვებს უსმენდა თამამს;
—ახლა მზადა ვარ... გიცდით...
მესროლეთ...

ვიქტორ ჰიუგო.

კომუნის მონაწილე გუსტავ ინარი



კომუნარს სიკვდილის წინ თავის სისხლით დაუწერია: ჭაუშარჯოს კომუნას.




რ ე მ ე დ ა ს ი ს დ ღ ე

18 მარტი — პარიზის გმირული კომუნის დღეა, ეს დღე რემედასის დღეცაა, რემედასის დღე არა იმით, რომ ეს დაკანონდა ასე, არამედ იმითაც, რომ პარიზის კომუნა, როგორც ლენინი გვასწავლის, ინტერნაციონალური მოვლენა იყო. რა თქმა უნდა, იმით არა, რომ პარიზის ქუჩებში ბარიკადებზე მოკვდნენ ფრანგ რევოლუციონერებთან ერთად გერმანელებიც, რუსებიც, პოლონელებიც და სხვა, არამედ იმით, რომ ის გახდა საფუძველი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა, კერძოდ კი დიდი ოქტომბრისა.

პარიზის კომუნის 60 წლის თავზე საბჭოთა კავშირში ყოველმხრივ მტკიცდება სოციალისტური მშენებლობა და კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მწვავედ ეკონომიური კრიზისი, რასაც ოან სდევს ბურჟუაზიის ცოფიანი შეტევა მუშათა კლასზე და განსაკუთრებით მის მოწინავე ავანგარდ კომპარტიაზე; მთელი ციხე-კატორღები სავსეა რევოლუციონერებით, მათი ცილ-შვილი კი სიმშოლს და დამცირებას განიცდის.

ამიტომ რემედასმა კიდევ მეტად უნდა გაუწიოს დახმარება კაპიტალისტურ ციხე-საპყრობილეში გამოკეტილ ჩვენს ძმებს, რომლებიც, ჩვენი დახმარებით წახალისებული,



რუმინეთის კომპარტიის წევრი, ამხ. პაუკერი ცინის საავადმყოფოში შიმშილობს

კიდევ უფრო ბოლშევიკურად შეუტევენ ისტორიულ კლასიურ მტერს-ბურჟუაზიას.

რემედასი საფრთხობელად გადაიქცა იმპერიალიზმისათვის. საზღვარგარეთ ეს ორგანიზაცია უდიდეს პროპაგანდას ეწევა კომუნისზმისათვის დევნილთა მარკრიალურ დახმარებასთან ერთად.

დღევანდელი ოლით უნდა ვისარგებლოთ და გავაძლიეროთ რემედასში მუშაობა, ფართოდ მივიზილოთ მასში მშრომელი მასები, ავამოძრაოთ ის უჯრედები რემედასისა, რომელნიც მხოლოდ ქალაქზე არსებობენ.

შემოწირულებით, ფასიანი, საღამოების გამართვით და სხვა ასეთი საშვალელებით უნდა განვაძტკიცოთ რემედასის მატერიალური ფონდი.

რემედასის ორგანიზაციის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებით ადვილად შეგვიძლია გავაძლიეროთ ინტერნაციონალური აღზრდაც ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობისა, რაც ჩვენი გადაუდებელი და ყოველდღიური ამოცანაა.

კომუნის სსოვნას

ორმოცი წელი გავიდა პარიზის კომუნის გამოცხადების შემდეგ.

განმტკიცებულმა საფრანგეთის პროლეტარიატმა ჩვეულებისამებრ მიტინგებით და დემონსტრაციებით სცაპატივი 1871 წლის 18 მარტის რევოლუციის მოღვაწეების სსოვნას, ხოლო მისის ბოლოს კი კვლავ მიიტანს გვირგვინებს იმ დახვრეტილი კომუნარების საფლავებზე, რომელნიც საშინელ „მისის კვირის“ მსხვერპლი გახდნენ და მათ საფლავებთან დასდგნენ ფიცს, რომ დაუღალავად იბრძოლებს მათი იდეების სრულ გამარჯვებამდე (მათ მიერ ნაანდერძევი საქმის სრულ განხორციელებამდე).

კომუნა სტიქიურად წარმოიშვა. ის შეგნებულად და გეგმაზეწონილად არავის არ მოუშზადებია.

ეს იყო ისტორიაში გაუგონარ მოვლენა. მანამდე ძალა-უფლება ეჭირათ მემამულეებს და კაპიტალისტებს. ი. ი. იმით რწმუნებულებს, რომელნიც შეადგენდნენ ე.წ. მთავრობას, 18 მარტის რევოლუციის შემდეგ, როცა ბანტიერის მთავრობა გაიქცა პარიზიდან თავისი ჯარებით, პოლიციით და ჩინოვნიკებით, — ხალხი თავისი ბატონ — პატრონი აღმოჩნდა, და ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა...

მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში პროლეტარიატს რომელსაც სწავრავს კაპიტალი ეკონომიურად, არ შეუძლია პოლიტიკურად ბატონობა, თუ არ დაამსხვრია ის ბორკილები, რომლითაც ის მიჯაჭულია კაპიტალზე. აი ამიტომ კომუნის მოძრაობას აუცილობლად სოციალისტური ელფერი უნდა მიეღო, ე. ი. მას უნდა დაესზა მიზნად ბურჟუაზიის ბატონობისა და კაპიტალის ბატონობის დამხობა, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების დანგრევა...

მაგრამ მთავარი რაც აკლდა კომუნას — ეს იყო დრო, მოცლა იმისათვის, რომ ირგალივ მიეხედ-მოეხედა, შესდგომოდა თავისი პროგრამის

განხორციელებას. მან ვერც კი მოასწრო საქმის დაწყება, რომ ვერსალში მოკალთებულმა მთავრობამ, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი ბურჟუაზია, დაიწყო პარიზის წინააღმდეგ საომარი მოქმედება. ამიტომ კომუნა ძიულეული გახდა პირველ ყოვლისა თავდაცვისათვის ეზრუნა და თვით აღსასრულამდე, რომელიც მას წილად ხვდა 21-28 მაისს, არ ეცალა სხვა რაიმე სერიოზულზე ფიქრისათვის...

კომუნის მებრძოლთა სსოვნას პატივს სციმენ არა მარტო ფრანგი მუმები, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, ვინაიდან კომუნა ჩბრძოდა არა რაიმე ადვილობრივი ან ვიწრო ნაციონალური ამოცანისათვის, არამედ მთელი მშრომელი კაპობრიობის დაბეჩავებულთა და დამცირებულთა ცანთავისუფლებისათვის, როგორც პირველმა მებრძოლმა სოციალისტური რევოლუციისათვის, კომუნამ ჰპოვა სიმპატიები ყოველგან, სდაც იტანჯება და იბრძვის პროლეტარიატი. მისი სიცოცხლისა და სიკვიდილის სურათმა, მუშათა მთავრობამ, რომელმაც დაიპყრო და შეინარჩუნა თავის ხელში მსოფლიოს დიდაქლაქი ორი თვის განმავლობაში, პროლეტარიატის გმირული ბრძოლის ნახვამ და მისმა ტანჯვამ დამარცხების შემდეგ, — ყოველივე ამან აამხედრა ორი მილიონი მუშა, გაუღვიძა მათ იმედები და მათი სიმპატიები სოციალიზმისაკენ გადაარა, პარიზის ხარბახუნების გრიალმა გამოაღვიძა პროლეტარიატის ის ჩამორჩენილი ფენებიც, რომელთაც საუათას ძილით ეძინათ, და ყოველგან სტიმული მისცა რევოლიუციონური სოციალისტური პროპაგანდის გაძლიერებას. აი, რაცომ არ მოკვდა კომუნის საქმე. ის დღემდე სცოცხლობს თითოეულ ჩვენთავანში...

კომუნის საქმე ეს არის სოციალისტური რევოლუციის საქმე, ეს არის ჩმრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმე, ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმე და ამ მნიშვნელობით იგი უქცდავია.

კომუნის საქმე ეს არის სოციალისტური რევოლუციის საქმე, ეს არის ჩმრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმე, ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმე და ამ მნიშვნელობით იგი უქცდავია.

კომუნის საქმე ეს არის სოციალისტური რევოლუციის საქმე, ეს არის ჩმრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმე, ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმე და ამ მნიშვნელობით იგი უქცდავია.

ლენინი

* ლენინის ეს წერილი მოთავსებული იყო „რაბოჩია გაზეტა“-ში 1911 წელს. აქ მოგვყავს რამდენიმე ადგილი ამ წერილიდან.
რედაქცია



კომუნის კომიტეტის დეკლარაცია კომუნარებისადმი

კომუნარები

დავდივართ გარუჯულ, კუნთოვან მკერდებით და დავგავს ხალხის მსურვალე მზის, დღეს შრომა ბატონობს და არვინ პატრონობს ვინც უქმად აღამებს, ვინც უქმად ზის. ჩვენ, კომუნარები, შობილნი მზის ცეცხლში, ყოველგვარ ბრძოლისთვის ვინებით მზად, და გვახლავს ორი რამ და თან გვდევს ორი რამ: ლენინის დროშა და ლენინის გზა!.. ვრცელ მინდვრებს ახარებს ტრაქტორის გრიალი, ბნელ ლანდებს აშინებს ტრაქტორის ხმა, დღეს უკვე მანქანით ღარავენ მიწის გულს, ისობა გუთნით და ხარებით ხვან. დავდივართ გარუჯულ, კუნთოვან მკერდებით და გვახლავს ხალხის მსურვალე მზის, და დავალთ დამკვრელი ტემპების ხმაურით ლენინის დროშით და ლენინის გზით!..

რუხანა გგელაქა

კომუნის სისხლით შეღებულ ღრუბა კომინტერნი მიიტანს მსოფლიო ოპტოგბრის ბარიკადავდე.

კომუნის გზით იბრძვიან მსოფლიო მილიონიანი ჩაბრულები. პარიზის კომუნის ქაბლია: სოციალისტურ მშენებლ ობაში მსახიბის აპტიური ჩაბამ და ოპტოგბრის მონაპოვარის დაცვა კომპარტიის ხელმძღვანელობით. განვამტკიცოთ ჩემედანის რიგები.

ბ ა რ ი კ ა დ ე ბ ზ ე



ლამა. მდინარე სენას ნაპირები მთვარის შუქზე ციმციმებს, ცივი ქარი არ ისვენებს, ანჩხლობს და კორტნის ისედაც გამხდარ გაშობილ ხეებს, რომელთა ტოტებიც ქარის სიანხლის დროს ერთმანეთს ეკვრიან, რომ თავიდან აიცილონ მტერი. ქარი მაინც არ ისვენებს, პარიზის მუშათა უბნებისკენაც მიემართება. აჰა, შეიჭრა ბნელ მიწურში, სადაც აბრეშუმის ფაბრიკის მუშის უორგის ცოლ-შვილი ცხოვრობს.

— დედა, მცოვა, — სთქვა უორგის უმცროსმა ვაჟმა კორნიმ და დედას მიეკრა.

— არა უშავს, შვილო, ცოტა მოვითმინოთ და ყველაფერი გვექნება — შეშაც და პურიც; თუ ახლა მდიდრები ფუფუნებაში ცხოვრობენ და ყველაფერი გამოუღვევლი აქვთ, მალე მამაშენი და მისი ამხანაგები იმ მდიდრებსაც დაამარცხებენ და მაშინ კარგად ვიცხოვრებთ. დაიძინე, ბიჭო, დაიძინე, თუ ძალიან გცივა, ჩემი პალტო გადისხურე, მე არ მიჭირს, უპალტოდაც გავძლებ.

— არა, დედა, არ მეძინება, მე ზღაპარი მინდა. დედა, მამაზე რაიმე ზღაპარი, აი ის, შენ რომ ერთ დღეს მამაზე წითელი ფერიების თავდასავალი.

— მაშ ყური მიგდე. იყო ხელმწიფე რობერტი, რომელიც საფრანგეთის ბატონ-პატრონად ითვლებოდა. მისი შიშით კარისკაცებიც თრთოდნენ და მოხახლოვაც, ეს მეფე ისეთი მკაცრი იყო, რომ ცოლი და შვილებიც ხმამაღლა სიტყვას ვერ ეტყუოდნენ, რასაც იტყოდა, უნდა ასრულებულიყო. ერთ დღეს მან ბრძანა: მომიტანეთ ისეთი ტახტი, არც ოქროს იყოს, არც ვერცხლის, არც ხის და არც ფარჩეული-სო. ნაზირ-ვეზირები დაფიქრდნენ, ბევრი იფიქრეს, და ბოლოს ვეზირმა სოკრატმა წამოიძახა: უამრავი წელიწადია, რაც მეფეს ასეთი სატანჯველოში ვუვართ; მოდი, ავჯანყდეთ, მაშინ ნახავს ის სვირს, ოქროს ტახტი კი არა, გამხმარი პურიც მოენატრებაო; ეს რჩევა ყველას ჭკუაში დაუჯდა და მეორე დღეს ყველანი სადაც გაიპარნენ. მეფეს დილას ადრე გაეღვიძა, ცოტათი შეშინდა — მტერი, ხომ არ დაგვხმნია თავსაო. ყოველ დილას ისმოდა ნაზირ-ვეზირების სიცილ-ხარხარი, ახლა კი ჩამიჩუმდაც ვერ გაიგონებდით, ისე იყო ყველაფერი მიწუნარებული. მსწრაფლ წამოხტა, ჩაიცვა და გავიდა ეზოში, იქაც მიწუნარებული იყო ყველაფერი. დაათვალიერა ყველა კუნჭული, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა, დანადგოვანი დაბრუნდა სახლში, ცოლშვილი გაადვიდა და უთხრა მათ ეს საოცარი ამბავი, ყველა შიშმა მოიცვა. მეფე შიშისაგან ცახცახებდა, ენა დაემა და გაუტრსული მოკლოდა აღსასრულს, რომ ამ დროს მოიხმა ბუკის და ყიჟინის ხმა:

„ძირს მეფე რობერტი გაუშარჯოს თავი. სუფლებას!“



ბარიკადაზე მოკლული კომუნარი ქალი.

პარიზის კომუნის მიზნებს ჩვენ ვასრულებთ

„საბჭოთა კომუნის მიზნებს ჩვენ ვასრულებთ“ (საბჭოთა კომუნის მიზნებს ჩვენ ვასრულებთ) (საბჭოთა კომუნის მიზნებს ჩვენ ვასრულებთ) (საბჭოთა კომუნის მიზნებს ჩვენ ვასრულებთ)



გრანდოზული დემონსტრაცია მოდიოდა წითელი დროშებით; დემონსტრანტებს სოკრატი მოუძღოდა, უკან მოდიოდნენ ფაბრიკის მუშები და გლეხები, მათ შუაში იდგა წითელკბილა გოგონა — თავისუფლების ფერია. ისინი მოიხილავდნენ თავისუფლების ზიზნს. მათ შეაღეს სახალისი კარი. მეფე შიშისაგან იქვე დაეცა და სული განუტევა. წითელი ფერების ლაშქარმა აიღო სახალხე, დაამხო მეფის ტახტი და იმ ქვეყანაში დამყარდა ძმობა, ერთობა, თავისუფლება და სიყვარული.

დაათავა დედა და თვალეში შეაჩერდა ცნობისმოყვარე ბიჭიკოს.

— ოჰ, დედიკო, რა კარგი ყოფილა ის ვეზირი! ნეტავ მეც ვიყო ისეთი ვაჟკაცი. ხომ დავამხობდი ამ საძაგელ მთავრობას! მე და მამა ერთად წავალთ ბარიკადებზე, მეც დავამარცხებ მდიდრების ხროვას. კი, ჩემო დედიკო, გამიშვი, დედა, მეც ბარიკადებზე ვიბრძობლე მამასთან ერთად.

— სუ... შვილო, დაიძინე, ჯერ პატარა ხარ; დედი რომ გაიზრდები, მაშინ წადი. აბა, დაიძინე.

— კარგი, დედა, კარგი, დავიძინებ და, დედი რომ გავხდები, მაშინ წავალ — სთქვა პატარა კორნიმ.

ცოტა ხნის შემდეგ დედამის უკვე ეძინა.

— ახლა კი დროა, მამასთან, ბარიკადებზე, ჩუმად სთქვა კორნიმ, ადგა და ფეხაკრეფით გავიდა...

— სუ... ვიღაც მოიპარება, — სთქვა უორგისმა და თოფი ფეხზე შეაყენა.

ცოტა ხნის შემდეგ უორგის გულში იკრავდა ცელქ ბიჭუნას.

— მამა, მამიკო, იცო, დედას გამოვეპარე, დედა დავაძინე და აქეთკენ მოვკურცხლე.

ჰაერი შეაზანზარა საზარელმა გუგუნმა...

— მოახლოვდა უამი. აბა, თოფები შეაყენეთ. მტერი თავს არ გვანებებს, უნდა სისხლში ჩაახრჩოს მშრომელი ხალხი, ოხ, ჯალათებო, ჩემს ბიჭუნას არ დაგანებებთ მოსაკლავად, — სთქვა უორგისმა და კორნიმ მკერდზე მიეკრა.

— მამიკო, მეც მომეცი თოფი.
— აჰა, შვილო. მხნელ დადექი ბარიკადებზე. ან სიკვდილი, ან გამარჯვება! — ეს არის კომუნარტა დევიზი.

გუგუნის თანდათან ახლოვდებოდა, უორგისის ბანაკამაც მისცა ხმა. ტყვია შურდულივით გაიჭრა მტრის ბანაკისაკენ. ბარიკადები ბურანში გაეხვია; ირგვლივ ცეცხლის რკალი აიპართა. ბუკის და საზარელი ყიჟინის ხმა ისმოდა.

— უორგისის ბანაკი გაანადგურეთ მთლიანად, ძირბუდიანად! ისმოდა მეთაურის ბოხი ხმა. ეს იყო გენერალი გალიფი, რომელიც ჯარს მოუძღოდა.

უორგისის ბანაკი ცეცხლში გაეხვია. ტყვია მოხვდა კარლს და წაბოროტა, უორგისი, ლუი და პატარა კორნი მამაცად ებრძოდნენ მტერს; აჰა, სეტყვასავით წამოვიდა ტყვია, და უორგისი განგმირული დაეცა. მკერდიდან სისხლი მოსჩქეფდა.

— ოჰ, ჯალათებო... მშვიდობით, კორნ... — ვერ დაათავა სიტყვა, ჩაჩუმდა.

პატარა კორნი ქვითინით დაეცა გვაშს.

ცეცხლითა და ტყვით დაისერა უორგისის ბარიკადები; ლუი უშიშრად ესროდა ტყვიას გალიფს ჯარს, კორნი კი დაამხო ბოლი დასტიროდა მამას.

— კორნი, გავმარდეთ, ხომ ხედავ, ჩვენც ის დღე მოგველის, რაც მამაშენს.

— ძირს გალიფე და სისხლისმსმელი მთავრობა ტიერის, ძირს გვარდია, გაუმარჯოს პარიზის კომუნას! დაიყვირა ლუიმ, და გამოსროლილმა ტყვიამ შუბლი გაუგმირა.

— ძია, მეც შენთან ერთად შევეწირავ თავს კომუნას, — გაისმა კორნის ხმა. ის იდგა ბარიკადებზე, პატარა შუბლი სივრცისთვის მიეპყრო და ელოდებოდა ტყვიას. ჰა, გავარდა ზარბაზანი. ტყვიები დაბნულად. კორნი დაბარბაცდა, დაეცა, პირიდან სისხლი გადმოსკდა. სისხლმა დაფარა მისი ხუჭუტა თმები, პირისახე.

— მშვიდობით, დედა, დედა... ტყვიები ისევ სერავდა სივრცეს...

პოიონერი ავთანდილ ქაშაძე



როცა კომუნა გამოცხადდა მე მხოლოდ თუთბუგის წლისა ვიყავი. ვინც კარგად იცის მემორი პარიზის თავგანწირული ბრძოლის ისტორია ვერსალოვების წინაღონდგ, ის არ გაიკვირებს, რომ მე, 15 წლის ყმაწვილი მოზრდილობითან ერთად აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი კომუნის დასაცავად ხალხის მიერ წარმოებულ ბრძოლაში. ფორტების რკალით გარშემორტყმულ პარიზის ბარიკადებზე, რამდენიმე გააქრბილი იყო ქალაქისავე მიმავალი ყველა გზა; დაილუბა არა ერთი და ორი ასული მუშა, პარიზის მემორი უბნებში დაბადებული და აღზრდილი. ისინი მოვიდნენ რევოლუციონური პარიზის გარეუბნებიდან და გმირულად დაეცნენ კომუნის ბარიკადებზე.

ჩვენი ოჯახიდან ნაციონალური გეარდის რიგებში ორი კაცი იყო — მე და მამაჩემი. ჩვენ შევედით მე-71 ჯგუფში; მამა გვარდიელად, ხოლო მე კი მედოლედ.

როცა ვერსალოვებმა დაიკავეს ფორტების ხაზი და ქალაქში შემოიჭრნენ, ჩვენმა ბატალიონმა მიიღო ბრძანება ერთი ნაწილის, სენტ-ნორეს, დაცვის შესახებ. როცა მოწინააღმდეგე უძლური აღმოჩნდა ჩვენი ძლიერების წინაშე, მან გაიძვრულ ოინებს მიმართა. ვერსალოვებმა თოფები უკლმა, კონდახებით მალა, მხრებზე დაიწვეს და გამოეშარათ ჩვენსკენ. ეს უომრად დანებებას ნიშნავდა. ჩვენ შევიჩრეთ სროლა. როცა ვერსალოვები მოუახლოვდნენ ჩვენს ბარიკადებს, სრულიად მოულოდნელად გამოვიდნენ შეტევაზე. ჩვენი ბარიკადების ბედი გადაწყვეტილი იყო. იძულებული გავხდით დაგვეტოვება ისინი. ამის შემდეგ მოვაწყვეთ რამდენიმე ბარიკადა, მაგრამ ვერც ამისი გამაგრება შეგძელით და შეთანხმების მოუძნაძღე დაეხიეთ.

აქ ტყველ ჩაუფვარდი ვერსალოვებს. მე და ზოგიერთი ჩემი ამხანაგი საბატარიონში გადაგვზავნეს. აქ ჩვენ სამიოდ კვირა დავყავით. მთელი ამ ხნის განმავლობაში სრულიად უვარგისი და დამბალი სურსათით გვკვებავდნენ.

როცა საბატარიონსკენ მიგვერეკებოდნენ, გზაში საშინელ სურათს წაგწყდით. ვერსალოვები უწყალოთ ელეტდნ კომუნარებს, ისინი ერთ ადგილას თავს უყრიდნენ დაბალიტრულ კომუნარებს, ამის შემდეგ კი იწყებოდა: — „შენ მარჯვნივ, შენ მარცხნივ“.

„მარჯვნივ“ ნიშნავდა საპარტიბლეს, „მარცხნივ“ კი დაუყოვნებლივ დახერტას. იმ დღეს, სამი საათის განმავლობაში, ნაშუადღევს 3-5 საათამდე 2000 კომუნარი დახერტეს. მე და ჩემი ამხანაგებიც გავხდებოდით ამ მხედვების მახვერალნი, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, საღამოს სრულ 5 საათზე ვერსალოვებმა მიიღეს ბრძანება კომუნარების დახერტის შეწყვეტის შესახებ. ჩვენი სიცოცხლე უძვე უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვინ იცოდა, თუ რამდენი ხნით...

„მე და ჩემი ამხანაგები ჩქარა გადაგვზავნეს ვერსალოვის საბატარიონში. მე აქ გავეცანი ლუიზა მიშელს.

არისტოკრატიული წრიდან გამოსული ქალები ყოველად უსინდისო თავდასხმებს ახდენენ ჩვენზე. ისინი გვაფურობნენ სახეში, გვცემდნენ ქოლგებით და ათასგვარ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ.

ამ დროს თურმე მამა დამეძებდა. მას გავგო ჩემი დაბატარიონების ამბავი და ვერსალოში ჩამოვიდა.

დავინახე თუ არა მამა, შეგვეკითხე: — მომიტანე თუ არა სამოქალაქო ტანისამოსი?

მანიშნა, რომ ჩამოიტანა. — მაშ, ახლა კი ვნახოთ, ვინ ვის ვაბარიყვებს, მე მცველებს, თუ ისინი მე, — გავიფიქრე ჩემთვის.

მეველები დიდ ყურადღებას არ გვაძევიდნენ. მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და საჩქაროდ გადავიცი მამას მიერ მოტანილი ტანისამოსი.

მაგრამ მე ვერ გავითვალისწინე ერთი ზოსალოდნელი გარემოება. გავიგეს თუ არა ვერსალოვებმა ჩემი გაქცევა, საჩქაროდ დააბატარეს მამაჩემი და კლძულ ელაზე გა-

დასახლეს. ამის შემდეგ მე დაუყოვნებლივ დაეტოვე პარიზი.

კომუნისხმის უდიდესი იდეა, რომელსაც შეეწირა ათეული ათასი მუშა, გახდა მთელი ჩემი ცხოვრების მანათობელი ვარსკვლავი. ყველგან, საცა მიხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, ყოველთვის ვიყავი მუშათა კლასის საერთაშორისო იდეების ერთგული დამცველი, რამაც არა ერთხელ გამოიწვია ჩემი დევნა.

როგორც საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატი, მე ამირჩიეს სენტ-ლენის მენიციპალურ საბჭოში, მაგრამ სულ ჩქარა ჩამომარ-

თეს რწმუნებულობა, რაც ძალიან ხშირად ხდებდა საფრანგეთში კომუნისტების მიმართ.

ჩემი ცხოვრების 73 წლის შემდეგ მერგო ბედნიერება ვყოფილიყავი საფრანგეთის მუშათა დელუგაციის წევრი, რომელიც გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ზეიშში მონაწილეობის მისაღებად. მე დიდის აღფრთოვანებით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ რუსეთის პროლეტარიატის მიერ არ ყოფილა დამცემული ის შეცდომები, რამაც დაღუპვიმდე მიიყვანა პარიზის კომუნა.

იპოლიტ ნოელი



პატარა ბიჭი — კომუნარი, ვერსალოვებთან

გაბარა გრიბაძელები

დამკერელ შრომის ბრიგადებს შეხედენ ჩვენი რაზმები, იყო მილაერი ხალისი, სინარულით აყვანა, მანქანები ბრუნავდნ თითქო შმაგ ვაბრაზებით, და მუშურმა თვალებმა, სითბო გადმოგვაყარა!.. აქ ღვედების შრიალი და კუნთების მარულა... ცეხებიდან ცეხებში შეჯიბრების დოლია, შრომა ატალღებული მხრებზე გადმოღვარულა და მკლავების განწირვას რკინები ვერ მოლლიან!.. ჩვენ მოვიდვართ ელვარე თვალზე ამზეურებით, იყოს ჩვენი სხეული ლითონებთან ნაზელი, გაშლილია ზვირთებად პიონერთა გულეები და მტკიცეა ჩვენშიაც კლასიური აზრები!.. ტემპებს მისდევს ტემპები წინსვლითა და თარეშით, და გულუნებს ქარხანა. და ბრუნავენ დაზგები. სიყვარული შრომისა დაგვინთია თვალებში. ქარხანაში მუშებთან ვდგავართ ნორჩი რაზმები!.. **შალვა შაველაშვილი.**

ჩქარი, ჩქარი, ჩქარი!

შაბათობაზე გამოსულა პიენერთა არმია, დაჩეულოი გოგობიჭი, რა გარეგები არიან! ორობეში მოუხვია, შიქტრის როგორც ქარი... — აბა ბიჭო, ტრაქტორულ, ჩქარი, ჩქარი, ჩქარი! ახლა ბზინავს თითებს შუა ოქროსფერი თესლი. — გამოვანშოთ თესლის შვავით კულაკების გესლი! მინდვრებს შევინს მოგუფუნე ტრაქტორების ჯარი. — ტრაქტორული, ტრაქტორული! ჩქარი, ჩქარი, ჩქარი! დააყენეს არჩეული სიმინდების ხეავი. ყელსახვევი ოქროს ზღვაში მიხაკივით ჰყვავის. დაე, მტრები კოლექტივის დაინთბონ გესლად, — გაუმარჯოს ჩვენ მხიარულ, ბოლშევიკურ თესვას! კოლექტივის მინდვრებს შევინს პიონერთა ჯარი. ტრაქტორული, ტრაქტორული! ჩქარი, ჩქარი, ჩქარი! ჩქარი! ჩქარი! **მარიკა**

გაიგონ კომუნა სკატივში

სკატივი პირველი

სკენა: ქუჩა, კუთხეში დამალულ-
ლან: აბბატი—ლოცვათაპყრობილ
ხელებით. ბურჟუა, არისტოკრატი,
მდიდარი ქალი. შორს ისმის ხმაური,
სიმღერა).

ხმა. ძვირფასო ძმებო, დებო, პარი-
ზის მოქალაქენო! დღეს 18 მარტს,
გამოცხადდა კომუნა!

ხმები. გაუმარჯოს კომუნას!
ხმა. დღეს ამობრწყინდა საფრანგე-
თის მშრომელთა მზე!

ხმები. გაუმარჯოს ხალხს!
ვინმე. (ჩიბუნით პირში) ჰმ! აბა ახ-
ლა დაუდგენ წინ ღურგლებს, კალა-
ტონებს, მჭედლებს, ლურჯხალათია-
ნებს, ბურჟუები და არისტოკრატები!

კომუნარები. (გამოივლიან მღე-
რით, წითელი დროშით, მუსიკით).
ძმანო, წინ, წითელი დროშებით,
დავაგუგუნოთ სიმღერა...
აქვარგოთ კომუნა შვებით—
დე, ისმას ძლევის სიმთ ჟღერა!

გაჰქრა ჯალათი ტიერი—
და მისი მომხრე მდიდრები;
შევექმნათ კომუნა ძლიერი
მშრომელთა დასამკვიდრები!..
1. გაუმარჯოს თავისუფლებას!
2. ძველი მთავრობის მომხრეები:
3. ეშაფოტზე!
4. გილიოტინა!

ჟველა. ძმანო, წინ, ამაყ ძახილით—
პარიზის მღელვარ ქუჩებზე;
ხელში გამგმირავ მახვილით—
ჩვენი კომუნის ურჩებზე!..
(გაივლიან).

ბურჟუა. გგგააიარეს?!
არისტოკრატი. ვვვგოონებ!
მდიდარი ქალი. აჰ, მეკი მეგონა,
რომ ეგ მხეცები აქვე დაგვბოცავენ!
(აბბატს ეხვევა).

აბბატი. თი, მადონა! (არ იცის რა
ქნას).

მდიდ. ქალი. წმინდაო აბბატ!
აბბატი. ჰმ, ქალბატონო დიუ-ბუა...
ახლო ნუ... ველდები... (პაუზა).

ბურჟუა. რაღა ვქნათ ახლა?!
არისტოკრატი. ჩუმად კი, და... მგო
ნია უნდა შეგუროგდეთ ბედს, დრო-
ებით მაინც, და... ა? ვითომ მივემ-
ხრეთ კომუნას... აქ ჩუმად ჩვენი მო-
მხრეებისაგან შევადგინოთ რაზმი და,
რა ჩვენები შემოუტევენ ვერსალი-
დან — ჩვენ ზურგიდან დავცხოთ
ამათ...

აბბატი. კარგი აზრია!

ბურჟუა. ჰო, მაინც ვეღარ გავალთ
აქედან, კარებები დაკეტულია, და...
მდიდ. ქალი. მე კი შევალ სადმე
სამსახურში და მათ საიდუმლო ამ-
ბებს მოგაწვდით.

აბბატი. აგრე! იყავით კურთხეულ!
შეთქმულთა ბინად იყოს ჩვენი ეკლე-
სია... მაგრამ ჩუ! ვილაცაა!..

პატარა ბიჭი. (გამორბის, დროშით)
გაუმარჯოს კომუნას! (რა ამათ შეა-
მჩნევს) ოჰო! რაო? ა? თქვენ აქ რად
ჩასაფრებულხართ?! ვერსალელების
მომხრენი ხართ? ა?!

ჟველა. (შიში. ნაძალადევი ღიმი-
ლი). ო, არა: ჩვენ კომუნის მომხრენი
ვართ!

ბურჟუა. დიად! აი, თუ გინდა და-
ვიყვირო: გაუმარჯოს კომუნას!

დანარჩენნი. ჩჩჩივც... დიად... გა-
უმარჯოს!..

პატარა ბიჭი. გიცნობთ! აი შენ,
გაბერილო ბურჟუა, მუსიე ტონო,
შენ არ იყავი რომ მამჩემი დაითხოვე
ქარხნიდან და დააჭერინე სანტეს ცი-
ხეში, ხელფასის მომატებას რომ
გთხოვდენ და მუშები ამიჯანყაო?!

ბურჟუა. მე?! ო, არა! (შიში, ფულს
აჩუქებს) აი, ორი სუ... ტკბილი კვე-
რები იყიდე... აიდე... (თავზე ხელს
უსვამს).

პატარა ბიჭი. მექრთამენი და მო-
ლალატენი თქვენში ეძებეთ! აი!
(ფულს უკან მიახლის) გამიძენ წინ!
კომუნის ძალით დაბატიმრებული
ხარ!

ბურჟუა. ა?!

აბბატი. ო, საბრალო ბავშო! შენც
გადაგრიეს კომუნარებმა?! აბა რას
ერჩი ამ პატიოსან მოქალაქეს?! (მიუ-
ბრუნდება არისტოკრატს და მდიდარ
ქალს, რომლებიც უკვე იპარებიან)
ა? მართალს არ ვამბობ?! ა? სსად
მმიხვალთ?!

ისინი. სსუ.. აბა ჩვენ რრრაა. (გა-
ლიან).

აბბატი. ა?

პატარა ბიჭი. აბბატო, ფრთხილად
თორემ შენც ამასთან მიგაბრძანებ!
კომუნას ხუმრობა არ უყვარს! (დამ-
ზახას იღებს).

აბბატი. ო, მე ამა რა!.. (შიში. ლო-
ცვის პოზა).

პატარა ბიჭი. (ეცინება, ბურჟუას
ზურგზე დამზახას ატაკებს, გაჰყავს)
აბა, იარე!

აბბატი. ჰმ! სატანის კერძი! (შორს
სიმღერა).

ფარდა.

სკატივი მეორე

(სწრაფად ფარდის ახდა, ბარიკა-
და ქუჩებზე — ზედ წითელი დროშა
ფრიალებს. კომუნარები იგერიებენ
შეტევასზე გადმოსულ ვერსალელებს,
ისმის ბუკი, დაფი, ყიჟინა, სროლა,
დაჭრილნი, მოკლულნი. სათნოების და
უფლის. კოცონი ანთია. განთიადი).



კომუნის ჯალათი გენერალი გალიფე

კომუნარი. (რა ფარდა აიხლება და
ეცემა) გაუმარჯოს კომუნას!

დაჭრილი. რაო, დაო, როზეტა?

სათნოების და. ნუ გეშინია, ძმანო
აღფრედ, გამხნევი!.. (ჭრილობას
უხვევს).

ვაჟი. კომუნარებო, გვიტევე ვერ-
სალი,
და სისხლში ახრჩობს ნეტარ კო-
მუნას!

ქალი. პარიზის ქუჩებს ედება ალი?
ბიჭი. ჩვენ, მტრებს ბრძოლაში
ვაჩვენებთ უნარს? (პაუზა).

1. ვაზნები შემომელია.
2. აი, ორი მაქვს... აჰა, ერთი შენ..

ბიჭი. (ყურს მოკრავს) ა? ვაზნე-
ბიო? ჰმ! (ბარიკადას იქით იყურება,
გადაცოცდება, პაუზა).

1. ჟან, სად მიხვალ? ვერსალელთა
ტყვის ნუ ეთამაშები! (პაუზა).

2. შეხე, შეხე ემილ, ჟანი მოკლულ
ჯარისკაცთან მიცოცავს.

3. არ მოკლან ეგ ანცი და!..
1. ძან გაბედული კია და!..
2. ჰმ, სავაზნე ჩანთებს უცლის
ლეგიონერებს?!

3. მაშ ვაზნები გვექნება!

1. ა? დაბრუნდა?! შენიშნეს?..
უშენენ! ის აჯავრებს, ენას უყოფს!
იმათ სროლაზე მოკლულთ ეფარება,
სიმღერას იწყებს?! (გასძახებს). ჟან,
ფრთხილად! (სროლა ხშირდება ორი-
ვე მხრით).

3. ჰმ! ნამდვილი გამენია!

ჟველა. (სროლასთან ერთად სიმღე-
რა).

ძმანო, წინ ბარიკადებზე—
სად სისხლის დროშა ფრიალებს;
და მის ელვარე კალთებზე
კომუნა სკლის მზის ფიალებს!

ძმანო, წინ, აღვანთოთ ალი—
ბორკილს გვადებენ ხელებზე?!
დე, შიშით ძრწოდეს ვერსალი—
ჩვენ დარტყმით ბრძოლის ველებზე!

ძმანო, წინ, კომუნის დაცვად
პარიზის წითელ კედლებზე,
ტიერ და გალიფე დაწვად
დავცილო ცეცხლიან ეკლებზე!

1. მალე, ჟან, მალე! ბარიკადს ამო-
ეფარე!

2. ამოდი! (ხელს დაავლებს—გად-
მოიყვანს).

ბიჭი. აი ვაზნები! (უბიდან, ჯიბი-
დან გადმოყრის).

სათნოების და. ეგ რაა, ფერი მიგ-
დის?!

ბიჭი. არვიცი.. აი აქ მეწვის, დაა...
(ჯდება — ბარკალზე ანიშნებს).

სათნოების და. აქეთ! (ჭრილობას
ჰბანს — უხვევს) აბა ახლა კი ლაზა-
რეთში.

ბიჭი. რა დროს ლაზარეთია, დეიდა
როზეტა?! აქ მინდა დავრჩე!..

სათნოების და. ეგ არ შეიძლება...
შენ მაინც უნდა გადარჩე... შენ უნ-
და მოუთხორო ისტორიას, თუ რო-
გორ იბრძოდენ პარიზის კომუნა-
რები, შენ უნდა აღიზარდო შურის-
ძიებად!



ბიჭი. დეიდა როზეტა, რაღა შენც ბაბუაჩემივითი მელაპარაკები ხოლმე? იმან იცოდა აგრე. დაჯდებოდა ბუხართან, მომისვამდა გვერდზე. დაიწყებდა, თუ როგორ იბრძოდა ნაპოლეონის ჯარში მისი პაპა, ალბებზე როგორ გადადიოდა, და ვინ იცის კიდევ რა! ისიც აგრე გააბამდა, ვიდრე ვერსალელებმა არ მოკლეს იმ კვირია სენას გაღმა, დიუკლოს მოსახვევში, მე უნდა იმის შური ვიძიო ამ არისტოკრატებზე! საბრალო ბაბუა, რა კარგი ზღაპრები იცოდა!..

სათნოების და. მაგის დრო არაა.. აბა, აქ მაინც ამოეფარე, გათბი..

მ. ვერსალელები! (თოფს უმიხნებს).

მოწინავე. რაო? აბა, იარაღთან!!! (ემზადებიან) მაგრამ, მკლავზე თეთრი ხელსახოცები? არ ესროლო, პარლამენტორები არიან!

ლეიტენანტი. (ბარიკადის წინ გამოჩნდება — უკან ჯარისკაცი ახლავს) ვინაა ამ ბარიკადის უფროსი?

მოწინავე. პარიზის კომუნა! თანაშემწეთ მე!

ლეიტენანტი. გენერალ მარკიზ დე-გალიფეს ბრძანებით: წინადადება გეძლევათ—დაყაროთ იარაღი, დაგვენებდეთ, ჩაგვაბაროთ ბარიკადა. მოფიქრებისათვის გეძლევათ ხუთი წუთი!

მოწინავე. ამხანაგებო! თქვენი პასუხი?

ყველა. გაუმარჯოს კომუნას!!!

ვინმე. და, ვიდრე ამ ჩიბუხის პირში დაჭერა შემეძლება — ვერსალელები ამ ბარიკადას ვერ აიღებენ.

ხმები. ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე!


ლეიტენანტი. ა?

მოწინავე. აი ჩვენი პასუხი! (დამბაჩას შეათამაშებს — ლეიტენანტი ჯარის-კაციანად გაბრუნდება).

ბიჭი. შეაყოლე, შეაყოლე აქედან! ტიერის ფინია! გამიშვით, მე ვაჩვენებ მაგას!

სათნოების და. (იჭერს) ო, ეს ნუ! ისედაც არ ჩერდება სისხლი... აგერ ტყვია ისევ შიგაა, და... (ისმის ბუკი, დაფი, პაუზა).

მოწინავე. ა? დაფი? ბუკი? მაშ გასაგაში! ალბად ახლავე დაიწყებენ იერიშს და, ვიდრე გვიან არაა, ვისაც სურს დასტოვოს ბარიკადა! (პაუზა).



თეატრალური მხატვარი ვინმე ანდრე მარსი

1. (გამოეჭიმება) პოლ რენიე ბარაკდას შეაკლავს თავს!

2. ლიუსიენ ტიბო, კალატოზი მონმარტრიდან — აქა ბოლომდე! (სალამს აძლევს).

მოწინავე. ან იქნება შენ, საყვარელი ვიოლა? (ეხვევა).

ქალი. არა, უორუ, სადაც შენ იქაც მე... აქ ვრჩები, რომ დაგიფარო ჩემი ლოცვით! (ეხვევა).

მოწინავე. ხა! ხა! ხა! ლოცვა?! ჰო, მაგრამ შენ ხომ აბატი კორნიე ვასწავლიდა სკოლაში!.. გჯერა რაიმე კიდე ღმერთის? ჰმ!

ქალი. უორუ! (თავს ჩაღუნავს).

მოწინავე. ჰო, კარგია ნუ იბუტებ! მე ვიცი, რომ შენ გიყვარს ჩვენი კომუნა!.. (ღიმილი - ხვეწნა, სროლა-ტყვია ხედება) ააჰ!!! (დროშას დასტაცებს ხელს — ბარიკადაზე ახტება — დამბაჩას ისვრის) ამხანაგებო! დაჰკა!!! (სროლა).

ბიჭი. დეიდა როზეტა, მაშ ახლა აღარ გამოვდგები ბარიკადაზე?!

სათნოების და. არა, წამო აქეთ. ლაზარეთში!..

ბიჭი. არ მინდა, აი, წელან ამოვაცალე მოკლულ ვერსალელს (უბიდან დამბაჩას იღებს ისვრის; მოწინავე ეცემა ქალის მკლავზე, სროლა ხშირდება).

ქალი. უორუ!.. ა? (თოფს დაავლებს ხელს) თუ ლამაზ გამარჯვებას ვერა, უფლამაზეს სიკვდილს მაინც ვუჩვენებ!

მოწინავე. ვიოლა! კომუნა! (კვდება, ბნელდება — არე წითლდება).

ყველა. შურისძიება!

ბიჭი. აგრე!!! (სროლა. მუსიკა).

სურათი მესამე

(ქუჩა. ბარიკადა დასგრეულია. დახრილი და დაჭრილი კომუნარები. გერსალოლები გაატარებენ ტყვეებს. მათ შორის პატარა ბიჭსაც — დაჭრილია კოჭლობს, წინააღმდეგობს; ძალად მიათრივენ. ხანგამოშვებითი სროლა — ხვრეტენ. სიკვინის სიღრმეში მალლობზე — ტიერის დამცინავი ლანდი. არისტოკრატი და მდიდარი ქალი ტყვეებს დასცინიან, აფურთხებენ; პირდაპირ კაფეში სჩანს მოზემეთა ქეიფი და სხვა).

ლანდი. ხა! ხა! ხა!

ბიჭი. ღრჩობა, შე ჯალათო!

ლეიტენანტი. იარ წინ! შეხედეთ ამ თხუნელას, ვინ გვებრძოდა! (იარინის).

ბიჭი. ვინაა თხუნელა? ა?

არისტოკრატი. ა? გრაფინია! ეს ბიჭი არაა, მუსიე ტონნო რომ დააპატიმრა კომუნის გამოცხადების პირველ დღეებში? ის ხომ, როგორც მძივალი, სხვებთან ერთად დახვრეტის კომუნარებმა!

მდიდარი ქალი. ჰმ! ეგ ძაღლის ლეკვი! (დაიარინა).

ბიჭი. (მოხედავს — მუშტს ატყუებს) მაიათ! დაებრუნდებით და ნახავთ მაშინ!..

არისტოკრატი. რაო? (იციინის. ქალთან ერთად კაფეში შიდას).

ლეიტენანტი. სერუანტო! გაათრიე ეგ მაიმუნი!

ბიჭი. ვინაა მაიმუნი?! ა? იქით!

სერუანტი. ვინა და, ვისაც ახლა სხვებთან ერთად კვდელზე მიაყუდებენ!

ბიჭი. ჰი, აბა დახვრეტეთ, დახვრეტეთ სეირს!!! აგერ ერთი ისაა...

მაგრამ ჩვენ არ დაგვავიწყდება ბრალდებულს წარედგინოთ ანგარიში, სისხლიანი ჯამი ყველა კომუნისტის ამოსაწყვეტლ მისი ვაცოვებული მოწოდებისა.

40 ათასი მოკლული.
60 ათასი დასახინრებული.
250 ათასი გაპარტული.
ვინ უნდა აგოს პასუხი ამ რიცხვებზე?

მზა დება საზაფხულს თენისისთვის



— რაიმონდ პუანკარემ, თეორების არ-
მიის სულს ჩაიდგომლა და მამობილმა პუ-
ანკარემ — ომმა (ხმები: „მართალია“, „სიკე-
დილი მაგას“).

თავმჯდომარე: მე ვთხოვ ამხანაგებს ნუ
არღვევენ სასამართლოს მსგელოლობის წეს-
რიგს და რეპლიკებს ნუ სვრიან. ბრალ-
მდებელი, განაგრძეთ.

ბრალმდებელი: ამხანაგებო! მე გადავდი-
ვარ ბრალდებულის შემდეგ დანაშაულზე.
საბჭოთა რესპუბლიკამ განდევნა თეორ-
გეორდიელთა სროვა, გაწმინდა მხარე ონ-
ტანტის ვაიკებისა და აღმოფხვრა შინა-
ური კონტრაგელოცია და საბოტაჟი.
ჩვენ შაშხანა თოვი შევცვალეთ ჩაქუჩით
და სახანავი ფარგლით. ჩვენ თავს ვიღვეით
გვეწმენებინა აბალი ცხოვერება პროლეტა-
რიატისა და გლეხების ინტერესებისათვის,
და არა პუანკარესა და მისი დამკავშირისა-
თვის. რესპუბლიკა შეუღდა ქვეყნის აღორ-
ძინების საქმეს, მრეწველობისა და სოცია-
ლისტური საზოგადოების მშენებლობისა.
მაგრამ კვლავ ამოძრავდნენ შაშხანის
გველები.

გაქცეული ფაბრიკანტების და ბანკირების
ყოფილმა თანამშემწეებმა დაიწყეს ოცნება
ძველ პატრონზე. ლაქიებსა და ნაძირალებს
უყვართ ბატონური ხელისუფლება. ბატონ-
ნიც აფასებს ძალღერ ერთგულებას. ძველ
ინჟინერები, პროფესორები და სპეციალის-
ტები დანაღვლიანდენ უწინდელ ბატონზე.
სად არის ეს, რომელიც აღიმტებოდა და სუფ-
რიდან ისროდა გემრიელ ლუკმებს!

და, აი, ინჟინერების და კარიერისტების
მოზრდილმა ვაჯუფმა ისარგებლა საბჭოთა
ხელისუფლების ნდობით და წავიდა ტალა-
ხიანი გზით — ხელის შეშლისა და მანებ-
ლობის გასაწყევად. ამხანაგებო, თქვენთვის
ცნობილია მხატვის, ტრანსპორტის მანებლე-
ბის, სასურსათო მრეწველობის საქმეები და,
დასასრულ, „სამრეწველო პარტიის“ დიდი
პროცესი.

გაფუჭებული მალარაგები, ყალბი ნახაზე-
ბი, მანებების დაფარული ფენები, საკინის-
გზო მიმოსვლის შეფერება, ცუდი გეგმები,
გამოუსადგვარი მწრობები, მშენებლობის შე-
ჩერება, კრიზისის მომზადება, მუშებისა და
ნთელი მოსახლეობის მოტყუება, — აი, რით
შეუძლიათ თავი იკონ მანებლებმა, რუსე-
თის ბურჟუაზიის მოსყიდულმა მახურებმა.

რუსეთის ხალხის ყოფილი ხელისუფალინი,
ფინანსების და მრეწველობის ბოპოლები—
ნობელი, რაიპუშინსკი, დენისოვი, ტრეტია-
კოვი ისტდენ „სტუმართმოყვარე“ საფრან-
გეთში და აგრეთვე ეშხადებოდნენ, დაფუს-
ფუსებდნენ მანებ სულელებსავე, საფრანგეთი-
დან ავზანდინდენ სს.რ.კ.-ში ბიძანებებს,
ფულს და საიდუმლო აცენტებს, მოსყიდული
მსახურები კი გზანდინდენ საფრანგეთში საი-
დუმლო ცნობებს და ერთგულების ფიცს
სდებდნენ თავიანთი ბატონების მიმართ.

მაგრამ ვინ დირიჟორობს ბოროტმოქმე-
დების და მეგანშებების ორკესტრს?

— რაიმონდ პუანკარემ, გამცემლობისა და
სისხლიანი საქმეების სპეციალისტი.

ვინ შეაუღლა საფრანგეთის გენერალური
შტაბი საბჭოთა მანებლებთან?

— პატრიოტმა პუანკარემ.

რა გველოდა ჩვენ, ამ თბილ კამპანიას
თავისი გეგმები რომ განეხორციელებია?

— შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა
კავშირზე, რესპუბლიკის განადგურება, საბ-
ჭოთა კავშირის განაწილება გამარჯვებულ-
თა შორის, მოსახლეობის გაძარცვა, სილატა-
კე და მონობა, კვლავ დაიწყებდნენ თარეშს
ენდარბები და „გოროდოვები“, დახვრე-
ტენ საუკეთესო მუშებს, მოაწყობდნენ სრუ-
ლიად რუსეთის გლეხთა გაწყობას, ხოლო
კომუნისტებს, კომკავშირელებს და პიონე-
რებს დაჰკიდებდნენ „ელნათურების ბოძებზე“.
მოვიდოდნენ ძველი ფაბრიკანტები და გენე-
რლები, რათა მუშებისათვის ედინათ სისხ-
ლიანი ოფლი, პირისახეში ეცემათ ჯარის-
კაცებისათვის და ეწამებინათ სარდაფებში.
გამოცოცხლებოდნენ ძველი მონებლები,
ბიუროკრატები, მეგანშებები და მემამულეე-
ბი. რომელიმე მასხარა აძვრებოდა ტახტზე
და ფრანგი კაპიტალისტების დუღუკზე და-
იწყებდა ბუქნას.

აი რაზე ოცნებობდა პუანკარემ. მა-
გრამ იგი წაბოროძიდა, ნიღაბი ჩამოს-
ხნილია, ომი გამოამარჯვებულა.
მას ასამართლებს ისტორია.

ამხანაგებო! მსოფლიო ომში დაღუპულთა
საქელით, დახვრეტილი ამხანაგების სახე-
ლით, მთელი ქვეყნის მშრომელთა სახე-
ლით მოვითხოვ რაიმონდ პუანკარეს მისა-

ჯოს სიკვდილით დასჯა! (მტუხარე ტაში ხმე
ბი: „სიკვდილი მაგას“! თავმჯდომარის ზა-
რი).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა დამცველს.
დამცველი: მოქალაქენო! მე ძლიერ მოკ-
ლედ ვილაპარაკებ. დანაშაული დამტკიცე-
ბულია და ამის შესახებ არ დავიწყებ კამათს.
მაგრამ მე არ შემძლია დევთახნზმო ბრალ-
მდებელს სიტყვის ერთ ნაწილში. ეს არის
სიკვდილით დასჯის მოთხოვნა. პატიცემუ-
ლო მოსამართლენო! მე არ უარყოფ, რომ
ბრალდებულს მძიმე დანაშაული აქვს, მაგ-
რამ, პატიცემულო მოსამართლენო, თქვენ-
გან მოვითხოვ მიაქციოთ ყურადღება ერთ
გარემოებას: დანაშაულის სიმძიმე არ უნდა
დააწყვეს მხოლოდ ამ ერთ პიროვნებას. მთე-
ლი თავისი ცხოვერება რაიმონდ პუანკარემ
გაატარა საფრანგეთის ბურჟუაზიულ წრეებ-
ში, გაიძვრა პოლიტიკოსებს, მოსყიდულ
ეურნალისტებსა და მზრდნებელ კაპიტა-
ლისტებს შორის. მსხვილი კაპიტალი ნიშ-
ნავდა მას ხან მინისტრად, ხან პრემიერად,
ხან კი პრეზიდენტად. სიტყვით, პატიცემუ-
ლო მოსამართლენო, განა ეს ადამიანს არ
დასვამს წარუხიციელ დასს? განა ეს უნებ-
ლიედ არ გამოიმუშავებს თავისებურ თვისე-
ბებს და ქცევებს, რომელზედაც ადამიანი
ყოველთვის ვერ აცებს პასუხს? უნდაოდ!
ადამიანი არ არის დამნაშავე იმ აღზრდაში,
რომელიც მას მისცეს ჯერ კიდევ ბავშობი-
ნას. მართო ის ერთი არ არის დამნაშავე სი-
მუხთლეთში, რისთვისაც მას ბალომობიდანვე
გულმობღვიუნდ სწვრონიდნენ.

ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო
ბოროტმოქმედ ბიროთან, არამედ არა-
ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიურად გა-
ხინჯი პიროვნების იშვიათ ეგზემპ-
ლართან, ძველგარე სისხლისმსმე-
ლობის მძიმე შემთხვევასთან.

მოქალაქენო! კარგად დააცქერდით ბრალ-
დებულს, თქვენ ხედავთ არანორმალურ ადა-
ნიანს, თითქმის იდიოტის სახეს. თავი მიუ-
გავს კომბოსტოს, სახის ბრიყველი გამომეტ-
ყველება. ველური წვრილი თვალები, გად-
მზობრულებული ბაგენი, არა ჩვეულებრივი
ზომის ლოკები. თქვენ საქმე გავქვთ გადარე-
ულ მკვლელთან, რომელსაც ვერ წარუდ-
გნებთ ჩვეულებრივ მოთხოვნებს პატიცემუ-
ლო მოქალაქენო! ეს ადამიანი კი არა, სისხ-
ლისმსმელი და ავადმყოფი ველური ცხოვე-
ლია.

ადამიანური კანონებით არ შეიძლება მი-
სი გასამართლება. მას თვითონ არ ვაეცება
რას სჩადის.

პატიცემულო მოსამართლენო! მე შეგჩე-
რდები სასჯელის შემსუბუქებაზე. პატიცემ-
მულ მოსამართლებს ვთხოვ დასწო-
ნონ ბრალდებულის განსაკუთრებული ფსი-
ქოლოგიური მდგომარეობა და გამოიტანონ
მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი.

თავმჯდომარე: განაჩენის გამოსატანდ სა-
სამართლო გადის სათათბირო ოთახში.



კომუნისტური სათესლე ხორბალს
არჩევენ

შვიდი საათის შემდეგ სასამართლოში მივი-
ხიდილები სრული შემადგენლობით დასრუ-
ლება ტრიბუნაზე, განაჩენს მდივანი კით-
ხელობს. დარბაზში სიჩუმეა.

ისტორიის განაჩენი

მსოფლიო პროლეტარიატის უხე-
ნესმა სასამართლომ, მოისმინა რა
რაიმონდ პუანკარეს საქმე, ბრალს
სდებდა მას მუშებისა და გლეხების მი-
ლიონობით მკვლელობაში, რევო-
ლუციის მონაპოვარზე თავდასხმაში
და სახვედრო შეტქმულებაში, რომ-
ელსაც მიზნად ჰქონდა დასახული
პროლეტარული სახელმწიფოს მოს-
პობა და მშრომელი ხალხის დამონე-
ბა.

მიიღო რა მხედველობაში საბრალ-
მდებლო დასჯენის მოცულობა, მიუ-
ხედავად დამცველის მიერ ვითითებულ-
ი განსაკუთრებულ მდგომარეობისა,
უხედავის სასამართლო აღდგენს: რაი-
მონდ პუანკარეს მიესაჯოს სიკვდილი.
განაჩენი საბოლოოა, გასაჩივრება-
სა და კასაცის არ ექვემდებარება.

ილოს უეჯიბრი

(საბავშო პოემა)

ხელისუფლების მეთავე წელში,
აღმენებლობით ვატაცებაში,
გამოიწვია სასწავლებელში
ილომ გოგილო შეჯიბრებაში.
ამხანაგების გესლიან კბილებს,
რომ სურდა მათი გამოქვენება,
აი, ალზრათ აზრად ყმაწვილებს
აქ სოცშეჯიბრის გამოყენება,
რომ ილომ-მამას, გოგილომ-ბიძას
მოაშლევიონ ცუდ თვისებანი,
რომ მიალწიონ ამრიგად მიზანს
და მოიბოვონ გულის შეგებანი.


არა და ნორჩ გულს გაღვეს ის გესლი,
სასწავლებელში რომ დაგებულა:
მოდის ოჯახით „ბოროტი თესლი“
გატენილ თოფის მომართულ ლულად!..
მიიღო ილოს რა გამოწვევა,
თვის წილ გოგილომც დასდო პირობა!
ენახოთ, ვის ერგოს აქ წილად ძლევა,
ვისი დამტკიცდეს ფხა და გმირობა!..
ამ დაძაბული მდგომარეობით
გავიდა თვე და დგება მეორე,
რომ ილოს მამა თავს არ ღლის თრობით
და შინაც ბუზლუნს არ იმეორებს,
რადგან შევის მამაც ვაჰყვა შეჯიბრში,
პირველისაგან გამოწვეული,
ის იმ დღიდანვე ჩავარდა შიშში
და მოაშინა შიშმაც სნეული!

მხოლოდ იგივე მძიმე პირობა
ვერ დაუყენა გოგილომ ბიძას,
წახდა მოწაფის ფხა და გმირობა:
ვერ მიალწია გოგილომ მიზანს!
უიმედობაც არ არის სრული,
და ბოლოს ბიძაც მოყვა ბადეში,
მხოლოდ არ უჩინს ჯერ დასასრული
ბიძის ავტყევას ამ პირველ თვეში!

და ცხადი არის, შეჯიბრს ამჟამად
გოგილოსაგან ილო რომ იგებს:
გაუჯანსაღდა მას ამით მამაც
და მიალწია დასახულ მიზნებს!..
ასეც სწყვეტს შეჯიბრს სასწავლებელი!
თუმც ამ საკითხზეც დიდხანს იჩნუბეს:
„სად სმენილა, რომ პირველჯგუფელი
შეჯიბრს უგებდეს მეშვიდე ჯგუფელს“?
მაგრამ ფაქტს, აბა, ვინ ეუბრება?
მას ემყარება სიმართლის ბჭენი!
და იმდღეს მართლაც ქარხნის მუშებმა
დაადსტურეს ეს განაჩენი!..

ნ. ზოგოლაძე.

ვინ არიან ორჭოჭები?



ლიადი მემანქანი

მატარებელი მიტქრის, ორთქლმავალი ზუსტად მუშაობს. პროექტორებმა მომართეს თვალისმოშვეთი სინათლის ორი კონა და გზას აჩვენებენ.

მატარებელი მიტყავს შეუღრეველ გამოცდილ მემანქანს.

გზა მწელია და სახიფათო—მოხვეული აღმართი, ირგვლივ მძვინვარებს ავდარი, ქარბუქი.

წინ კი ლიანდაგებთან დაფუსფუსებენ მტრები. ისინი სიძულვილით უყურებენ ამ მჭროლავ მატარებელს, პროექტორების და მარბმეებელი სხივები კი მათ შურსა და განრისხებას იწვევს.

— გესმით, გვიანლოვდება!—ისინებენ მოსისხართა ატამანები.—აპყარეთ რელსები, აპყარეთ შპალები. მოდი, გესმით; უყურე. მოდი, წყდება ჩვენი ბედი.

მატარებელი ზომიერი რხევით მიტრის წინ. მემანქანე ხედავს მტრებს. ის აძლიერებს სიჩქარეს, ის ანგარიშობს:

— სადამ რელსები და შპალები არ აუყრაას, სრბოლა წინ, რომ ფოლადის ბორბლები დაიმსხვრეს მოწინააღმდეგეთა ძვლიანი ხელები. იქ კი, ძალიან ჩქარა, გააჩერება. ქარბუქიანი წყვილიანი ღამე დარება უკან და იქნება ნათელი მზე.

ეს გაჩერება — კომუნისმია.

რომელი მატარებელია, ასე გაშმაგებით რომ მიტქრის წინ, მზიანი გაჩერებისაყენ, კომუნისმისაყენ?

ეს ჩვენი ქვეყანაა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ვინ არის ის გმირი, უშიშარი მემანქანე, ქარბუქილებსა და ქარიშხლებს შორის, რომ ლამაზს მატარებლის გაქანებას კომუნისმიისაყენ?

ეს არის პარტია, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა.

წინსვარული მატარებელი

რომელი პროექტორები, რომელი თვალისმოშვეთი სხივები უნათებს გზას წინსვარულ მატარებელს საბჭოთა ქვეყანაში, რომელი მანომეტრი უჩვენებს შეუცდომლად წნევის ძალას?

— მოძღვრება უდიდეს ადამიანთა—მარქსისა და ლენინის, ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის პროგრამა, ხუთწლიანი გეგმის დიადი სამუშაონი.

მტრები კი? ვინ არიან ისინი, მხეცური ბოროტებით აღვსილი, ლიანდაგებზე შეგროვილი, რომელთაც სურთ მსრბოლავი მატარებლისათვის გზის ვადლობა?

— მყვლეფლები: კულაკები, ქალაქის კაპიტალისტები, მათი დაქირავებული მსახური: მავნებლები, მღვდლები, სექტანტები.

ჯოჯობითური გეგმა ზის ამ ადამიანების თავში, მათ სურთ ვაგლიჯონ რელსების ქელი და დააბრუნონ მატარებელი წარსულსაყენ, დააბრუნონ გაჩერებაზე, რომელიც უკანაა. ეს განვლილი გაჩერება — კაპიტალიზმია.

დაიხ, სოციალიზმის მშენებელი ჩვენი ქვეყანა გვაგონებს გაშმაგებით მსრბოლავ მატარებელს. ჩვენ მივდივართ წინ უდიდესი სწრაფით. აი რიცხვები:

ომისწინადროინდელი რუსეთი ასხამდა 256 მილიონ ფუთ თუჯს, ე. ი. 4200 ათას ტონას.

უკვე 1929 წ. საბჭოთა ქვეყანამ ჩამოასხა 5 მილიონი ტონა თუჯი.

ჩვენ ვაშენებთ „მავნიტოგორსკი“-ს ქარხანას და შოლოდ ეს ერთი გოლიათი ჩვენს მხარეს მისცემს 2 ნახევარ მილიონ ტონა თუჯს, ომისწინადროინდელი მთელი პროდუქციის ნახევარს.

ხუთწლიდის უკანასკნელ წელს ჩვენი ქვეყანა ჩამოასხამს 17 მილ. ტონა თუჯს. 17 მილიონი ტონა ოთხჯერ მეტია, ვიდრე ომამდე არსებული მთელი პროდუქცია.

კუნძუცკში, ზაბოროუიში, ქვემო ტაგილში, ლიპეცკში, მაიოუპოლში და ქერჩში უკვე იზრდება მეტალურგიული გიგანტები ხუთწლიანი გეგმისა. თვითეული მათგანის სიმძლავრე მრავალი მილიონი ტონით განიზომება. კაპობრობას ჯერ არ უხახავს ასეთი გაქანება.

ომისწინადროინდელი რუსეთი ყველა თაქისი დიდი და პატარა ქარხნიდან სულ 70 მილ. მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს უშვებდა.

ომის წინადროინდელი რუსეთი სრულიად არ იცნობდა ტრაქტორების წარმოებას, ელექტროენერჯის მიღებას, ქიმიური სასუქის გამოყენებას და ავტომობილის მშენებლობას.

ახლა კი შოლოდ ერთ როსტოვის ქარხანას შეუძლია წლიურად გამოუშვას 115 მილიონი მხიეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მარტო ერთი ნიეგროდის ავტომობილის ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 50 ათას ტრაქტორს.

ორნი

მსრბოლავი მატარებლის და რკინისგზის ლიანდაგის აღწერისას დამვიწყდა თქვენთვის მეჩვენებინა კიდევ ორი ადამიანი. ისინი სკიდან მიმანქანის გვერდით. ერთი მარჯვნივ, მეორე—მარცხნივ. ისინი თავისი თვლებით სჭირტენ სიძნელეს, აცქერდებიან მანომეტრს, მიდიან ლუმელთან.

— ის, ვინც მარჯვნივაა, დაცვა სულთ. მისი სახე შიშა და ასოწარყვეთილებამ შოცვაა.

— გამიგონე!—ეძახის იგი მემანქანეს. — გამიგონე. შენ, როგორც ჩანს, გარეტიანდინო დავიმსხვრეე. არ შეიძლება, ჩემო ძმაო, ასეთი სრქარე. შეხედე, ვინ ფუსფუსებს მან ლიანდაგთან! ისინი გვიმხადებენ დალუპვას. მემანქანე, გონს მოდი, მოუკული სვლას.

მას, ვინც მარცხნივაა, სახეზე დამცინავი ღიმი გვადაპკრავს.

— გამიგონე!—უყვარის ის მემანქანეს. — ძლიერ ხელა მიგყავართ, აგრე კომუნისმამდე დიდხანს ვერ მივალწვეთ, მე კი მინდა იქ უცებ მოხვედე. მემანქანე! მოუმატე სვლას. არაა საყურადღებო, რასაც მანომეტრი გიჩვენებს. შენ ამბობ, ქვაბი გასკდებათ, შენ ამბობ, არ შეიძლება, ძმაო, ასეთი სრქარე! შენ კი; მემანქანე, მანომეტრს ნუ უყურებ.

უფრო სწრაფად, უფრო სწრაფად, მემანქანე!

შეანელე—მოუშაბე

მარჯვნივ მდგომი უხიძვებს გამოცდილ მემანქანეს მარჯვენა მხარში, ებლაუტება მარჯვენა ხელზე—„შეანელე სვლა!“

მარცხნივ უხიძვებს გამოცდილ მემანქანეს მარცხენა თაქში, ებლაუტება მარცხენა ხელზე—„მოუმატე სვლა!“

გვიანქანე დამაბული იყურება წინ. მატარებელი ზომიერად და ზუსტად მოძრაობს. მემანქანე არ უხმენს არც მარჯვნივ და არც მარცხნივ მდგომს.

შეამარჯვენე ოპორტუნისტები მერყევი და მშიშარობი არიან.

ისინი ამბობენ:

— არაა საჭირო აღმართით ინდუსტრიული გიგანტები. ჩვენ მხარეში ხომ საქონლის დანაკლისია—ფესსაცემელების, ჩითეულის, შაქრის. ჯერ ავაშენოთ საქსოვი და ფესსაცემელების ფაბრიკები, შაქრის ქარხნები. ამ ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის საჭირო მანქანების შექმნა კი უცხოეთშიაც შეიძლება.

ისინი დასკმენდენ

— ცოტა გეაქვს საიდუმნებლო მისალა—ავტრი, ცემენტი. ჩვენი ტრანსპორტი სუსტია და ვერ აუვა გადასახიდს. საჭიროა ჯერ გავამაგროთ ეს „ვიწრო ადგილები“—ავაშენოთ ცემენტის ქარხნები, გავაფართოოთ ტრანსპორტი, შემდეგ კი შეიძლება მოვიკიდოთ ხელი ელექტრო-სადგურებს და მეტალურგიულ გიგანტებს—შიმიე ინდუსტრია.

იყენებდენ რა ასეთ პროგრამას, მემარჯვენი ოპორტუნისტებს არ სურდათ გავგოთ, რომ:

ქვეყანა მსხვილი ინდუსტრიის გარეშე წავაგავს ჯარისკაცს. რომილსაც არ ვაჩინა მშახანი თოფი. ჩვენ უნდა შევიქმნათ საკუთარი შიმიე ინდუსტრია, რომ კაპიტალისტებთან არ ვიპოოთ თითოეული მანქანისა



კომუნისტური მშენებლის ჯაშთან საქონელი

და ავტომობილის სათხოვნელად.
„საჭიროა უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავესწიოთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“ — ამბობდა ლენინი. თუ ჩვენი ქვეყანა კიდევ დარჩება უიარაღო ჯარისკაცად, მას ცოცხლად წაიყვანენ კბილებამდე შეიარაღებული კაპიტალისტები.
პარტიას კარგად ახსოვს ლენინის ეს პითო-თება და ამიტომაც ამბობს:
— მეტი ლითონი! მეტი ნახშირი! მეტი ნავთი! გვიამარგებთ რა შიშვე ინდუსტრიას, ჩვენ შევძლებთ ერთსა და იმავე დროს გავაფართოოთ ტრანსპორტი, ავაშენოთ შაქრის და კონსერვის ქარხნები, ფეხსაცმელ-ების და საფეიქრო ფაბრიკები.
მემარჯვენე ოპორტუნისტებმა დაივიწყეს ლენინის ეს ანდერძი და ამიტომაც ამბობ-დეს:

წერა-კითხვის უცხოენოვანი სალონი და სკოლაში



— ნაკლები ლითონი! ნაკლები ნახშირი! ნაკლები ნავთი! მთელი ძალონე, ყველა საშუალება მსუბუქ ინდუსტრიას. რაც შეიძლება მეტი საფეიქრო ფაბრიკა და კონსერვის ქარხნები იყოს მთავარია. დარჩენილი სახსრებით კი ავაშენებთ მეტალურგიულ ქარხნებს და ელექტროსადგურებს.

მემარჯვენის პროგრამა

ეს პროგრამა მემარჯვენის პროგრამაა. მემარჯვენეებს არ სჯეროდათ, რომ სას.კ. შესძლებს საძირკველი ჩაუყაროს მიმე ინდუსტრიას და, გარდა ამისა, უზრუნველ-პყოს ქვეყანა საჭირო, მოაშალოს კადრები, გაამარგოს მსუბუქი მრეწველობა.
ახლა მათ შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ ეს შესაძლებელია. ინდუსტრიალიზაციის ფართოდ გაშლით, ინდუსტრიალიზაციის გვიან-ტების აღმართვით მუშათა კლასი იმავე დროს აფართოებს ტრანსპორტს, უშალოს სასწავლებლებში და ტექნიკურებში ზრდის „მშენებელ კადრებს“ მიზე და მსუბუქი მრეწველობის გასამარგებლად.

მემარჯვენეები დაფრთხნენ, როდესაც პარტიამ დაიწყო სოფლის მეურნეობაში მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება, ძირითად მარკველ რაიონებში. ისინი შე-შინდნენ, როდესაც პარტიამ მთლიანი კო-ლექტივიზაციის საფუძველზე დაიწყო კუ-ლაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

— კოლექტივიზაცია ვერ მოაგვარებს სურსათ-სანოვავის საგნის ჭეხვას, ამბობდნენ ისინი. — კოლმეურნეობების იმე-დი ნუ გავქთ: იქიდან დიდი სარგებელს ვერ მიიღებთ. მიეცით სოფლად თავისუფ-ლება ქონების პატრონის, დეე, ის გამდიდრ-დეს. აი მაშინ პური იქნება საჭიროსი და ხორციც, არ შეიძლება კულაკობის ლიკვი-დაცია. ისინი მძლავრნი არიან. თქვენ კი იმით აღიზიანებთ. ისინი წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ და მაშინ მთელი რევოლიუცია დაიღუბება. არ შეიძლება კულაკის გადი-ზიანება.

არ სწამდათ რა კოლექტივიზაციის გატარება, მემარჯვენეებმა გადასწყვიტეს, რომ ქვეყანას აღარ ექნება კულაკის მოყვანილი პური, კულაკის მიერ დამზადებული ხორ-ცი. ხოლო ახალ პურს და ახალ ხორცს კი ვერ მიიღებს. მათ დასამარგეს თავიანთ მეხ-სიერებში ლენინის ეს მითითება. რომ მხო-ლოდ მხვილ კოლექტიურ მეურნეობებს და მარკველულის, ხორცის სახეობრივო ფაბ-რიკებს, საბჭოთა მამულებს, შეუძლიათ გა-მოიყვანონ ჩიხიდან ჩვენი სასოფლო მეურ-ნეობა.

კულაკის დაცვალება

ასეთი პროგრამის წამოყენებით, მემარჯ-ვენე ოპორტუნისტები იცავდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს, იცავდნენ მათ ინტერე-სებს. ამ მოწინააღმდეგეებს ხომ ერთი იმე-დი ჰქონდათ: ბოლშევიკებმა ოდონდ სისწ-რაფე შეანელონ, შეუნარჩუნონ კულაკ სი-ცოცხლე, და მაშინ ჩვენ ამ კულაკის დახ-მარებით მათ ადვილად დავამარცხებთო, მაგრამ თუკი ექნებათ ბოლშევიკებს საკუ-თარი ნახშირი, საკუთარი ნავთი, საკუთა-რი ფოლადი, ტრაქტორები, ავტომობილე-ბი და აღარ იქნება კულაკი, მაშინ ბრძოლა ძნელიაო.

თქვენთვის ახლა ცხადია: მემარჯვენე ოპორტუნისტები უზრუნველდნენ პარტიას დაეშ-ვათ ის ლულა, რომელიც კლასობრივი მტრის მკვრის ლიხინებდა.

მტრების მემარჯვენე

აი რატომ გამოდიოდნენ ისინი თავისდა-უნებურად რომის პაპის მოკავშირეებად, რომელიც აწარმოებდა „გვაროსნულ ლაშ-

ქობას“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, კულაკების მოკავშირეებად, რომელნიც სწვედნენ კოლმეურნეობათა ბედლებს, ჩინე-თის იმპერიალიზტების მოკავშირეებად, რო-მელნიც ტყვიებს უშენდნენ საბჭოთა კავში-რის საზღვრებს, ბურჟუაზიული პროფესო-რების — ჩაიანოვის, კონდრატიევის, გრო-მანის — მოკავშირეებად, რომელნიც ამზადე-ბდნენ კულაკურ გადატრიალებას ჩვენს ქვე-ყანაში, საფრანგეთის გენერალური შტაბის მოკავშირეებად, რომელიც ანტისაბჭოთა სამხედრო ლაშქრობის გეგმებს ადგენდა.

მაგრამ რატომ არ მოვუსმინოთ იმას, რო-მელიც მარცხით არის? ის ხომ მშინშარა არ იყო, ის გვიჩვენდა სიჩქარის კიდევ მომეტე-ბას.

არის ისეთი სიჩქარე, როდესაც მატარებ-ლი რელსებს სცდება. აი, ასეთ სიჩქარეს გვიჩვენდნენ „მემარჯვენე“ გადამხრელები — ტროცკისტები.

პრილოზა სიკვამ

პარტიის მე16 ყრილობამ შტკიცედ სთქვა: — არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყო მემარჯვენე ოპორტუნისტიც და კომუ-ნისტიც. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყო ბოლშევიკიც და კულაკის დამცველიც. მე-10 ყრილობამ მემარჯვენეებს უთხრა: — არ უარყავით თქვენი შეცდომები და აწარმოეთ აქტიური ბრძოლა პარტიის გენე-რალური ხაზისათვის, ან პარტია გავრიცხავთ თავიანი რიგებიდან.

მემარჯვენეთა ბედადგება განაცხადეს, რომ ისინი პირველ გზას ირჩევენ, პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის გზას, კოლმეურნეობების მშენებლობას, ჩვენი ქვე-ყნის გადამწყვეტ ინდუსტრიალიზაციას. ეს დაპირება მათ ჯერაც არ შეუსრულებიათ.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოირკვა, რომ გადამხრელებს შორის მუშაობა იატაკქვე-შელთა ჯგუფი, და ამ ჯგუფში შედიან კო-მუნისტები, რომელთაც პარტიამ მიანდო ფრიად პასუსსაგები ადგილები: სირცოვი, რუტინი, ნუსინოვი, კავრაისკი და სხვანი. ამავე ჯგუფს ეკუთვნოდნენ „მემარჯვენე“ გადამხრელები — ლომინაძე, შაცკინი და სხვანი. ასე გაერთიანდნენ მემარჯვენე და „მემარჯვენე“ გადამხრელები პარტიის წი-ნააღმდეგ ერთად საბრძოლველად. ისინი უმაღლედნენ პარტიას თავის ფრაქციულ მუ-შაობას. მათ უწოდეს ორკოფები იმიტომ, რომ ერთი ხელით ისინი ხმას აძლევდნენ პარტიის გენერალურ ხაზს, ხოლო მეორე ხელს პარტიის მტრებს უწევდნენ. კრებე-ზე ისინი ლაპარაკობდნენ: ჩვენ გეთანხმე-ბით პარტიას, პარტია ატარებს სწორ ხაზს. კრებიდან დაბრუნების შემდეგ კი თავიანთ ბინებში აგინებდნენ პარტიას და ამბობდნენ — მას ქვეყანა დაღუპვისაკენ მიყავსო. ასე მო-ქცევა ნიშნავს ორგანიზაციის შეგნებულ მოტყუებას. მათ დაიშაზურეს ორკოფების საპარტიო სახელი.

უპირველეს ყოვლისა, ისინი უწყაყოფე-ლონი არიან ქვეყნის მდგომარეობით, ისინი აცხადებდნენ: ჩვენ არ გვაქვს არავითარი მილ-წევები, არის მხოლოდ გარღვევებიო.

მოკიპვანოთ კვლავ ჩიხვები

მაგრამ მათ რომ შევი სათეალოები მო-ცხსნა, შეეძლოთ ენახათ ასეთი რიცხვები:

გიგველოვის დარგვი

უკანასკნელი წლისათვის ჩვენი სახელმ-წიფო შრეწველობა 25 პროც.-ით გაიზარ-და. მიმე ინდუსტრია 40 პროც.-ით გაი-ზარდა. ასეთ „გარღვევებზე“ ვერ გაბედავს ოცნებას ვერც ერთი ქვეყანა მსოფლოში.

სოფლის მეურნეობის დარგვი

წლის განმავლობაში სათესი ფართობი 7½ მილიონი ჰექტარით გადიდა, წლის განმავლობაში მოსავალი 22 პროც.-ით გაი-ზარდა.

საბჭოთა მამულებმა დათესა 4 მილიო-ნი ჰექტარი. კოლმეურნეობებმა დათესა 36 მილიონი ჰექტარი. პურის მთელი მოსავლის 60 პროც.-ს იძლევა საბჭოთა მამულები და კოლექტური მეურნეობანი. წრეულს ბამბა 60 პროც.-ით მეტი მოგვირდეთ, ვიდრე გა-სულ წელს.

ჩვენ მოვაწყვეთ ხორცის 128 საბჭოთა მე-ურნეობა, მათში მილიონზე მეტი სული რქოსანი საქონელია.

ჩვენ შევქმენით 270 ღორთაშენი საბჭო-თა მეურნეობა, მათში 147 ათასი ღორია.

ჩვენ მოვსკეთ უმუშევრთა, ეს დიდი ზღწევები მუშათა კლასის მო-ნაბოვარია, მაგრამ ორკოფებს არ სურთ ამის დანახვა.

სიხმელება არის.

პარტია კი ლაპარაკობდა ოდესმე — არა გვაქვს სინდლეობა? არასოდეს. სინდლე-ები არის. მათ ვერ გავუქცევთ. ჩვენ ხომ სოციალიზმს ჩამორჩენილს ქვეყანაში ვაშე-ნებთ, კლასობრივი მტრები ხომ გვებრძვიან. არის სინდლეობები, — ლაპარაკობს პარტია, კომუნისტებიც იმიტომ ვართ, რომ ისინი დავსბლიოთ, გადავლახოთ.

ნანსოვი დასკვნები.

შემდეგ ორკოფები აკეთებენ დასკვნებს, აძლევენ პარტიას რჩევებს. მაგრამ ეს რჩე-ვები და დასკვნები ჩვენთვის ცნობილია.

— უნდა იმუშავო დამშვიდებით, ჩუმად უნდა შეანელო სიჩქარე, თორემ ძალიან ცუდი იქნება. პარტიამ უპასუხა ორკოფებს:

— თქვენ შეგვიწინდათ კლასიური მტრის. თქვენ დაგავიწყდათ, რომ ამ მტერთან ბრძოლის დროს საჭიროა რკინისებური შე-უღრეველობის გამოჩენა. სინდლეებს ხე-დავთ, მიღწევებს კი ვერ ამჩნევთ. ირხევიო რა, როგორც ვერხვის ფოთლები, ჩვენს ქვე-ყანას უწინასწარმეტყველებთ დაღუპვას, ქვეყანა კი მოძრაობს წინ. თქვენ გაიძახით ინტერების, ტექნიკოსების სიმცირეზე, მაგ-რამ პარტიამ უთქვენოდაც კარგად იცის ეს და არსებებს სხვადასხვა სახის უმძლავრე სა-წაველებლებს, ტექნიკოსებს, პროფესორებს. თქვენ გაიძახით, — არ გვყოფნის საჭიონე-ლიო, მაგრამ პარტია თქვენს მოუგონებლა-დაც აფართოებს სათეს ფართობებს და აშე-ნებს შაქრის ახალ ქარხნებს, ადიდებს ბამ-ბის ნათესს და აშენებს ახალ საფეიქრო ფაბრიკებს, ამაგრებს ხორცის საბჭოთა მა-მულუმს და აშენებს ტყავის ახალ ქარხნებს, ადიდებს თევზის კერას და აშენებს კონსერ-ვის ახალ ქარხნებს.

პარტიამ აღნიშნა:

— თქვენ ცილს სწამებთ ჩვენს ქვეყანას იმ დროს, როდესაც პროლეტარიატის მტრე-ბი ავითარებენ თავიანთ ძალებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თქვენი ცილისწამე-ბა მტრებს ეხმარება, თქვენ იმათი მეგობ-ობები ხართ. თქვენთვის ადგილი აღ არის პარტიასში.

სსუპრსი მუხჯთა სკოლაში



ამასწინად ყრუ - მუნჯ პიონერთა კრებას დავესწარი. მაგიდას გარშემო კოლექტივის საბჭოს წევრები უსხდნენ და ფართე გონიერი თვალებით მალღობზე მდგომ მომხსენებელს შეცქროდნენ, რომელიც ბავებებს უცნაურად აცმატუნებდა, მარჯვენა ხელს სივრცეში ათამაშებდა და თითების შემწეობით სიტყვებსა და აზრებს ჰკვეთდა, და როცა იგრძნობდა, რომ მისი „ლაპარაკი“ აუდიტორიისათვის გასაკვირი და მისახვედრია, მაშინ ფერქვრთალ სახეზე ღიმილი აესახებოდა...

მომხსენებელს წინ ოთხკუთხე პატარა ბლოკნოტი ედო, რომელსაც დროგამოშვებით, — როცა ბავეთა უჩვეულო ცმატუნს შესწყვეტდა, — დინჯად ვადაფურცლავდა, ნაწერს თვალს შეავლებდა, ფანქრით რალაცას ვახაზავდა და კვლავ განაგრძობდა.

წითელ ყელსახვევიანი ყრუ - მუნჯი პიონერები გულდასმით უსმენდნენ ამხანაგ მომხსენებელს, მაგრამ არა სმენითი ორგანოს საშუალებით, არამედ თვალებით. მათი თვალები ცოცხლად და მკირცხლად გამოიყოფოდა, მათ ოდნავადაც არ ემჩნევა და ლლა და მოქანცვა, მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მუშაობის შესრულება უხდებათ.

თვალები ყრუ - მუნჯებისათვის ის ერთადერთი უძვირფასესი მარგალიტია, რომელიც თავის ძირითად მხიდველობით ფუნქციასთან ერთად შეძლებისდაგვარად, ყურის მაგიერობასაც სწევს.

ბავებით ლაპარაკი

ბავეთა მიზანშეწონილი ცმატუნის ყრუ - მუნჯის „ენა“, მისი ჩვეულებრივი ლაპარაკი. ყრუ - მუნჯი ბავებებისა და ხელეების შემწეობით გამოსთქვამს თავის აზრებსა და სიტყვებს. მაგრამ ეს ენა ყრუ - მუნჯს დაბადებიდანვე თან როდი ჰყვება. საუბედუროდ, ის მოკლებულია ამ ბედნიერებასაც. მას ამგვარი ენის დაპყრობა სპეციალური სწავლების და ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ შეუძლია. სწორედ ესაა ყრუ - მუნჯთა სკოლების მიზანი.

ბჭვილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დიდ ქალაქებში არსებობს მეცნიერულ საფუძველზე დაყენებული ყრუ-მუნჯ ბავეთა სკოლები, სადაც ყრუ-მუნჯები სწავლობენ არა მარტო ლაპარაკს, ე. ი. აზრების ხეობრ გადაცემას, არამედ წერა - კითხვასაც, ანგარიშსაც და სხვ.

ტვ. ყრუ - მუნჯთა სკოლის სიტყმატიური და ნაყოფიერი მუშაობა

უაქტიურად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ იწყება. მართალია, აღნიშნული სკოლა არსებობდა მენშევიკების ბატონობის დროსაც, მაგრამ მისი „არსებობა“ ნამდვილად არ არსებობდა უფრო: ის უფრო სათხეოს წაგავდა, ვიდრე სკოლას. დღეს ტფილისის ყრუ-მუნჯთა სკოლის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, მაგრამ კიდევ მანც საჭიროა მეტი მზრუნველობა.

მარტო ერთი სადურგლოსახელოსნო, რომელიც ტვ. ყრუ - მუნჯთა სკოლასთან არსებობს, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. უსათუოდ დიდი მტკივნეული ნაკლია ის, რომ სკოლასთან აქამდე არ არის გახსნილ სხვადასხვა სპეციალური სანელოსნო, მაგალითად: საწეინკლო, სახარატო, საფეხსაცმელო და სხვა.

ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დეფექტი დროზე უნდა გამოისწორდეს.

პიონერმოძრაობა ყრუ - მუნჯ ბავეთა შორის

ყრუ - მუნჯ ბავეთა შორის კომუნისტური მოძრაობის გამლა-გაცხოველებას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რა ფქმა უნდა, მტკიცებას არ მოითხოვს ის უბრალო ქმშარიტება, რომ საჯერ უფრო ძნელია ყრუ - მუნჯი ბავებების პიონეროვგანიხაციაში ჩაბმა და მათი ლენინური აღზრდა, ვიდრე ფიზიკურად ნორმალური ბავების. მიუხედავად მთელი რიგი ბუნებრივი სიძნე-

ქალი საბჭოს თავმჯდომარე

წინად მინდორში ცხვრები დაჰყავდა, წინად არ ჰქონდა ხელში ფანქარი; გზის მჩვენებელი არვინ არ ჰყავდა, შავი ბურუსი სდევდა სახარი.

მრავალჯერ ტმა მინდორში დამე, მრავალჯერ შიში გამოიარა; სიცოცხლე მისთვის იყო სიმწარე, სხეულზე აჩნდა წყლოლი — იარა.

მისი ცხოვრება სულ სხვაა ახლა — სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა; უსაწავლელობას დაუწყო შეხლა, გასახარა, გასახარა!

ანთებული აქვს თვალები მზისფერ, დღევანდელი ტმში ჩაება, დღეს თავისუფლად სწყვეტს საკითხს ისე, როგორც მოითხოვს ამშვენებლობა.

გამახვილა გონება თვისი, გაზმოს კითხულობს, საკითხს ალაგებს; კონსპექტსაც იწერს მოხსენებისთვის; ქალთა შესახებ ილაპარაკებს.

„ის აღარ ვართ, რაც რომ ვიყავით, ჩვენც შეგვიძლია შრომა გმირული; ვართ ეპოქასთან გაურყავი, საქმე გვახარებს ბოლშევიკური!“

ა. აპოლოპი.

ლებისა, ლენინური კომკავშირი, პარტიის ხელმძღვანელობით, ყრუ-მუნჯ ბავებს შორის მტკიცედ და ენერგიულად აწარმოებს აღმზრდევლობით - განმანათლებელ მუშაობას.

კოლექტივის ხელმძღვანელობს ყრუ - მუნჯი კომკავშირელი, ამავე სკოლის „უძველესი“ მოწაფე — ანხ. გრიშა აფრიდონიძე. ის საკმაოდ ერკვევა საერთო პოლიტიკურ საკითხებში, ჩინებულად კითხულობს და სწერს რუსულ ენაზე, ქართულის კი არაფერი გაეგება. (1928 წლამდე, სკოლაში ქართულად შეცადინებობა არ სწარმოებდა, სპეციალისტ - პედაგოგების უყოლობის გამო).

ანხ. აფრიდონიძე რალაცას მეუბნება; მას ჯერ კიდევ არა აქვს დაწმენდილი ხმა, უჭირს სუფთა ბგერების წარმოთქმა, ხრიალებს და მიუხედავად მისი დაჟინებითი ცლისა, მე მაინც არაფერი მესმის... მოულოდნელად თვალი მოგვკრი პატარა გონასს, რომელიც საკლასო ოთახში კატას კუდილთ დაათრევდა და... გამეცინა ანხ. აფრიდონიძემ სამწუხაროდ ჩემი სიცილი თავის - თავზე მიიღო, წარბები შეიკრიბა, მოიღუშა და მხარი შემსაქია (ცნობილია, რომ ყრუ-მუნჯი მოზარდები უაღრესად ცნობის მოყვარე და ექვიანი ხალხი). შემდეგ, როცა მიხვდა ჩემი სიცილის მიზეზს, ერთბაშად სახე გაუბრწყინდა, გამხიარულდა, ხელი მკლავში გამიყარა, მაგიდასთან დამსვა და წინ პიონერკოლექტივის ოქმები და სამუშაო ვეგემევი გადამიშალა.

„ყრუ - მუნჯი პიონერიც ახალი ჰმეჟნის მშენებელია“

ყრუ - მუნჯი პიონერი, პატარა მთიელი ილიკო ვემგაგური, თითქმის „გაუცნობლად“ დამიმეგობრდა. ჩემს ყოველ შეხვედრაზე ის თავდახრილი მორცხვად იცინის, მუდამ თან დამყვება და ლეკვივით მეაღერსება. როცა ილიკომ შეიწყო, რომ მისი სურათი უნდა გადაიღონ, სწრაფად ყელსახვევი გაისწორა, თმებზე ხელი გადაისვა და ამგვარი „გალამაზების“ შემდეგ დინჯად აინართა ფოტოაპარატის ობიექტივის წინ და თითქმის მთელი ხუთი წუთი იდგა თვალდაუხამხამებელი.

წამოსვლისას ილიკომ პალტოს ჯიბეში მომიკლა ჰალი. მიმიყვანა კედელთან და პატარა თითი გამოიშერა ლამაზი ასოებით დაწერილი პლაკატისკენ, რომელიც ამბობდა: „ყრუ - მუნჯი პიონერიც ახალი ქვეყნის მშენებელია“.

ბ. ბუაჩიძე.



დასწავლდა და დაიქანცა ამირ-კავკასიის ველებზე სირბლით შავი ორთქლმავალი. იგი მოხსნეს სამგზავრო რონოდებს და ტფილისის სადგურის უკან აშხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - რონოდების შემკეთებელ ქარხანაში მოიყვანეს.

ორთქლსა და კვამლში გაეხვია იგი, თითქო რცხენოდა, რომ, მინდორველებზე მოთარეშე, ეხლა სააქრომოდ შეიქნა.

ინჟინერებმა კაპიტალური რემონტის რეცეპტი გამოუწყვეს, მიაკრეს დაფა, რომელზედაც მოსვლისა და გაშვების თარიღია აღნიშნული და ნომერი.

ჩაფიქრებული და მოწყენილი მოაღვა იგი ქარხანას. გაიარა ალყაფის კარი და ამწყობ საამქროს მიაშურა.

ერთი საათის შემდეგ ჩვენმა ორთქლმავალმა უკვე სახე დაკარგა: ის დაშალეს, დაინაწილეს შესაკეთებლად სხვადასხვა საამქროებში. შედგა გრაფიკული ცხრილი, რომელიც ორთქლმავლის ნაწილების შეკეთების დროსა და მდგომარეობას უჩვენებს.

მიეყვით და თვალი ვადევნოთ ყოველი მისი ნაწილის შეკეთებას და მდგომარეობას, რომ ისინი არ დაიკარგონ, ან შეკეთების ვადაზე არ გადააცილონ.

ამწყობ საამქროში დაშლილი ორთქლმავლის ქვაბი საქვებე საამქროში გაგზავნეს. აქ ორთქლმავლების მრავალი ქვაბია. მათ ნუ მოიწყენ, ჩვენო ორთქლმავალი! ალბათ შენც ანათთან ერთად მალე დაუბრუნდები საყვარელ ველებს, შეპკივლებ ტფილისის სადგურთან ნიშან-სვეტს, გახვალ, გადასკრი ქართლის ველებს და შავი ზღვისკენ გასწევ, ალბათ ამ იმედით დგანა აქ ის ქვაბებაც, ესენიც შენისთანა შავი ორთქლმავლის ნაწილებია. მათ, ნუ მოიწყენ, ჩვენო ორთქლმავალი!

აქ ქვაბიც დაშალეს, მისგან ცილინდრი - და დარჩა; იგი უანგის ფერია და ხშირი მარქვლებით დაფარული. ამ ცილინდრს სტიკებ რაღაცა.

აი, მოვიდა მუშა, შეიძრა, გაზომა ადგილები და მალე ყანგისფერ კელებზე შპრიცივით მიუყენეს პევემატური ჩაქუჩი. იგი აკაკანდა და ტყვიამფრქვევის სისწრაფით დასცხო ქვაბის კელებს.

ქვაბების საამქროში ასე განუწყვეტლად გაისამის პნევმატური ჩაქუჩის ხმა. სქედენ სნეულ ნაწილებს, გაცხარებით შრომობენ მუშები, ჩვენი ქვაბიც ორიოდ დღეში სრულიად ჯანსაღი დავეიბრუნდება.

აქჩარდით, ამხანაგებო, ერთ კვირასი პოკლეო იჩქელაჯალი მზად უნდა იქნეს.

ამწყობ საამქროში ორთქლმავალს ტენდერიც მოსწყვიტეს (ტენდერი ორთქლმავალზე მისაღები მახუთია

ტომ, თითქო დიდი დანიშნულება არ ჰქონდეს, ან ზარმაცების ადგილი იყო, არმედ იმიტომ, რომ ადმინისტრაცია რატომღაც ვერ აჩივს ჯეროვან ყუოადლებას. მიუხედავად ამისა, ტენდერების საამქრო ისეთი ენერგიით მუშაობს, რომ მას საქარხნო გეგმა ერთხელაც არ შეუფერხებია. აი, ჩვენი ორთქლმავლის ტენდერიც აქ მოვიდა. ისიც დაშალეს, გასწმინდეს, ჩამოფხიკეს ზედაპირის ძველი, წამხდარი საღებავი და შეუღავ წაშლობა.

მესამე ნაწილად ჩვენს ორთქლმავალს თვლები მოაშორეს, შეაყენეს ისინი ლინდაგზე და თვლების ჩამომსხმელი საამქროსაკენ გაუყენეს. ეს უფრო ჯანსაღი და ტენიკურად



სამაგინაშენი სემანავაძე

ბაკია. წინად ტენდერი ორთქლმავლის სათბობ მარაგად შემას დაათრედა; ეს ძველად იყო, საროთქმავლო ტენიკის განვითარების პირველ პერიოდში და ჩვენში მენშევიკების დროსაც).

მოხსნეს ტენდერი და სატენდერო საამქროში გადაგზავნეს. ყველაზე უფრო საწყალი და შესაბრალისი საამქრო მთელს ქარხანაში ესაა; არა იმი-

კარგად მოწყობილი საამქროა. ჩვენს თვლებს სალტების გამოცვლა სჭარდებოდა.

თვლები ცეცხლის ვებერთელა კერაში ჩაადგეს. აქ საშინელი შიშინით ტრიალებს ცეცხლის ენები. ვინმე ღვთისმორწმუნეს იგი ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად მოეჩვენებოდა. ცეცხლის ალში თვლის სალტე გახურდა, გაგანიერდა სითბოსაგან და მალე ბორბალს სრულიად მოსცილდა. იგი, როგორც უვარგისი მასალა, გახვე გადასდგეს. თვლები დაზვავე გააპარეს. მანქანა ამუშავდა, და დაიწყეს ახალი სალტის შემოკვრა. ამგვარად გაჯანმრთელდა ჩვენი სნეული თვლები. აჩქარდით, ამხანაგო, ერთ კვირასი მთელი ორთქლმავალი მზად უნდა იქნეს!

გამოიკვა, რომ ორთქლმავლის მრავალი ნაწილი სრულიად არ ყარვა — საჭიროა ახლის ჩამოსხმა.

და გახურდა ჩამოსხმული საამქროს დომენის ღუმელი. შიგ კოჭი და ძველი თუჯის ნატეხები ჩაყარეს. გაჩაღდა ცეცხლი. ღუმელი გუგუნებ ბორგავს ალი.

მალე ღუმელის წინა ნაწილში აქაფებულ მსუქან რძესავით გადმოიღვარა გამდნარი თუჯი. აი, რა ძლიერია ადამიანი!

ადუღებული თუჯი ღელავს დიბრხევა. იგი გადმოისხა დიდ ქვაბში. ეს ქვაბიც და ღუმელიც ისეთ ნიეთო



სამაგინაშენი პოლიტეხნიკერ სტალინი

ერებისაგან არის გაკათებული, რომელიც არ დნება; ამიტომ ისინი თუჯის სითხეს ადვილად უძლებენ.

სად წავიღოთ ეხლა ამოდენა გადამდნარი თუჯი?

ამ საამქროში მიწაზე, სილის ფენაში გაკეთებულია ყალიბები ყველა ნაწილისათვის, რომელიც სჭირდება ორთქლმავალს. აი, ჩვენი ორთქლმავლის ნაწილთა ყალიბებიც. მოიტანეს ქვაბით თუჯის სითხე, ჩააჩხეს შიგ. იგი ამშუშუნდა, ირგვლივ ალი აუშვა. და ასე ყველა ყალიბში ჩასხეს. ეს სითხე მალე გაცივდება, გამაგრდება, და ორთქლმავლისათვის საჭირო ახალი ნაწილები მზად იქნება.

თავს დასტრიალბენ მუშები.

იჩქარეთ, ამხანაგებო, ერთ კვირაში მთელი ორთქლმავალი მზად უნდა იქნეს!

ამწყობ საამქროდან ჩვენი ორთქლმავლის ზოგიერთი ნაწილი სახარტო საამქროში გაგზავნეს. ისინი ზოგი მოცვეთილია და დადუღება. ესაჭიროება, ზოგსაც გაჩაჩხვუნდა და სხვ. ეს ადვილი საქმეა. სახარტო საამქროში აფარებული მანქანა და დაზგაა. ისინი მათ მალე მორჩენენ. ყოველი დაზგა დღითა და ღამით განუწყობილად მუშაობს. მრავალი ღვედი ტრიალებს, მრავალი თვალი და მრავალი მუშა - ხელი. ჩვენი ორთქლმავლის ნაწილებიც დაიტაცეს, მისცეს დაზგის კლანჭებს, გაპკრეს, გამოპკრეს, ზომისა და დანიშნულების მიხედვით დათალეს. მუშაობს მრავალი დაზგა, მრავალი მუშა - ხელი.

იჩქარეთ, ამხანაგებო, ერთ კვირაში მთელი ორთქლმავალი მზად უნდა იქნეს!

ორთქლმავლის შეკეთების მთელს პროცესს რკინის დიდძალი ზოდი და მასალა ესაჭიროება, იქვე სამქედლო საამქროში ასხამენ რკინის ზოდებს.

მივიდეთ სამქედლო საამქროშიც. საშინელი სიცხეა. ყოველი კუთხე შეიარაღებულია ცეცხლის ღუმელებით და მრისხანედ გამოიყურება. შიგ დნება უფარვისი რკინა და ფოლადი. გადადნობა აქ იმ ზომამდე არ მიდის, როგორც ჩამომსხმელ საამქროში. აქ ფოლადი სითხედ კი არ იქცევა, ცომის მგავსად რბილ ნივთიერებად. ამგვარად გარბილებული რკინას ღუმელიდან იღებენ და მანქანას აძლევენ.

აი, მისცეს მანქანას გახურებული რკინის ზოდი, მან იგი ორ ცილინდრისებურ მორს შუა მოიგდო, ატრიალდა და მეორე იგვერდზე უკვე

ერთხელაც არის, გრაფიკი უკვე ნებს, რომ ნაწილების შეკეთებაში დრო მიიწურა და, უკვე ნაწილები, ისინი გამოზრუნდებიან ამწყობი საამქროსაკენ. აქ მათ ხელახლად აწყობენ, აქ ისევ თავის სახეს მიიღებს ჩვენი ორთქლმავალი, მაგრამ განა თავის სახეს? იგი უკვე წინანდელს აღარ ჰგავს, იგი ახლა ჭაბუკია და სადღესასწაულოდ მორთულივით ამაყად გამოიცილება.

ახლა ისევ საყვარელი ველებსაკენ, ჩვენო ორთქლმავალი!

ირაკლი აბაშიძე.



გზის დასაწყისში "სამქედლო" მუშაობს

გაბრტყელებული გაიტანა. ასე რამდენიმეჯერ გავლის შემდეგ რკინის ზოდი ტყეჩის ფურცლებივით გადაიტყა. ამგვარი ტყეჩები მრავლად აწყვიდა და კიდევ მრავლად ამზადებენ სამქედლო ცეხის მუშები.

იჩქარეთ, ამხანაგებო, ერთ კვირაში მთელი ორთქლმავალი მზად უნდა იქნეს!

და ასე დღითა და ღამით განუწყობელი შრომით ჯანმრთელებიან ჩვენი ორთქლმავლის ნაწილები.

წითელი ქარავანები


ვამბობდით ასე: „გვემა დავძლიოთ, სოცმშენებლობის ფუძეს ვუნდებით“, და შეჯიბრებში მთიან რაიონს იწვევდენ ჩვენი მიმღებ პუნქტები. შემოდოდენ ტევრულ დროშებით, ბოლშევიკური გეზით ნარები, როგორც უდაბნოს ვრცელ ქვიშარეთში

ბედნიერების ქარავანები... ჩიონი რაზმები მტერს ცეცხლს უნთქობდა,

იყო შეჯიბრი, მანის გაგება, ხელმძღვანელობდენ მიმღებ პუნქტებს და

ბოლშევიკურსა მომარაგებას. თუმც გამუდმებით შაერში თოვდა, ქარიც აშარი მთებში კროდა, ზოლათ წითელი ქარავანები კი მაინც უწყვეტივ შემოდოდან. მართავდა ისევ ხალისიანად (დღე თუმც არ იყო თბილი მზიანი) ბოლშევიკური ტემპის დინებას ბოლშევიკური ენტუზიაზმი. მოგვხსენებათ: საკითხს უფლიან, დღესაც დავსახეთ წინხვლის რონები, რიგში დამკვრელი გაზაფხულია, ხოცენ დამკვრელი რაიონები.

დავ. შამათიავა.



საბურთალოს ინსტიტუტი ტფილისში

ზაიმი ტვილისი

25 თებერვალია. ვუცქერ საზეიმოდ მორთულ ტფილისს და მაგონდება მენშევიკების მიერ გაძარცვული და ქანცვამოლული საქართველო, სიცოცხლის ნიშანწყლის მოკლებული, გაპარტახებული.

დღეს კი... ყველაფერი ეს აღადგინეს მშრომელმა მასებმა, მშრომელთა დაუღალავმა და თავდადებულმა შრომამ აღადგინა დანგრეული მეურნეობა, მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა მუშათა კლასმა მის განვითარებას და შექმნა ნიადაგი ახალ სოციალისტურ საფუძველზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის.

ჩვენი მშენებლობა, ჩვენი ენერჯია ყოველწლიურად იზრდება, და ყველაფერი ეს მშრომელთა მიერ არის შექმნილი.

25 თებერვალი მუშათა კლასმა წითელიარმიის 13 წლის თავთან ერთად იღვასაწაულა, იმ წითელი არმიის, რომელმაც მსხვერპლი გაიღო საქართველოს განთავისუფლებისათვის.

სათის ცხრაა. დაიძრა დემონსტრაციები ყოველი ქუჩიდან და ყოველი შესახვევიდან რუსთველის გამზირისაკენ.

თორმეტის ნახევარზე რუსთველს გამზირის ახლომახლო ქუჩებში, შესახვევები და პატარა კუნძულები გაქედლია მშრომელი მასებით.

დემონსტრანტებს მოაქვთ მოდელები, ლოზუნგები, პლაკატები, დიარამები, რომელნიც ამტკიცებენ საქართველოს მიღწევებს ათი წლის თავზე.

იწყება პირველი სათი, და იწყება წითელარმიელთა ალღუმი. წითელიარმიის ნაწილები მწყობრად მიენართებიან ტრიბუნისაკენ. ქვეითი ჯარს მოსდევს არტილერია, ცხენოსანთა ათასეული, ტყვია მფრქვევების რაზმები, ჯავშნოსნები და სხვანი.

სასახლის წინ ტრიბუნაზე არიან ამიერ - კავკასიის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, არმიის მეთაური და მრავალი სტუმარი.

— გაუმარჯოს მშრომელთა შეიარაღებულ წითელარმიას!


— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავს!

ისერიან ლოზუნგს ტრიბუნიდან. მოწოდებებს და ლოზუნგებს უბასუხებენ წითელამრიგოინი და დემონსტრანტები „გაშას“ და „ურას“ ძახილით.

პეროპლანები დაჰქრიან პერში. წითელიარმიის ნაწილებს მწყობრად მოჰყვებიან კომკავშირელები.

კომკავშირის როგებს მოსდევს დამკვრელთა რიგები. დემონსტრანტებს

მუშათა კომკავშირის სახლი ტფილისში



ხელთ უჭირავთ დახატული ორთქლიანელები და რონოდები, — ეს ყველაფერი ჩვენი დამკვერელი ბრიგადების მიერ არის შექმნილი.

დემონსტრანტებს ხელში უჭირავთ მენშევიკური პარტიის „სიმშვენიერნი“.

დემონსტრანტებს, დემონსტრანტები მოჰყვებიან, მათ ბოლო არ უჩანთ.

ისინი ორკესტრის გუგუნნი, პიონერების საყვირები და დოლის ხმა, მშრომელთა ყრიამული, და ყოველივე ეს იფანტება სივრცეში და ჰქმნის უჩვეულო სიმფონიას.


საბჭოთა საქართველოს ათი წლის და წითელიარმიის 13 წლის თავი მშრომელთა დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა. ასეთია ბოლშევიკური ცხოვრება და ბოლშევიკური ტემპები.

25 თებერვალს საძირკველი ჩაეყარა ავერთვე აშხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის პოლიგრაფიული სტამბის შენობას.

შენობის საძირკველის ჩასაყრელად იღვასაწაულა მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

კასპში ამ დღეს გაიხსნა აშხ. სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანა. **ს.**

იგივე ადამიანები იხილავენ მშენებლობის დასრულებას



კვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს ბ.კ.ო.ც. ბიურო სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტთან ერთად აწყობს ბავშთა კომმოდრობის დაუსწრებელ კურსებს, რომლის მიზანია მოამზადოს მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პიონერ-ხელმძღვანელები.

პიონერ-ხელმძღვანელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისათვის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კოლექტივიზაციის აჩქარებული ტემპების წარმატებისათვის. პიონერ-ხელმძღვანელები უნდა ერკვეოდან მიმდინარე პოლიტიკაში, რათა შესძლონ რაზმის სწორი ხელმძღვანელობა.

ამიტომ ბ.კ.ო-ს ცენტრ. ბიურო სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტთან ერთად ითვალისწინებს იმ მოთხოვნებიდან, რომელიც წამოყენებულია პიონერ-ხელმძღვანელთა წინაშე მიმდინარე პერიოდში და აარსებს მათთვის მასიურ გადამზადებულ 6-თვიან დაუსწრებელ კურსებს.

1. დაუსწრებელ კურსებზე ჩაირიცხება ყველა პიონერ-ხელმძღვანელი და კომკავშირის ის წევრები, რომელთაც სურვილი აქვთ იმუშავონ მომავალში პიონერთა შორის.

2. დაუსწრებელ კურსებზე დამუშავდება აქტუალური საკითხები, რომლებიც წამოჭრილია ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით (კულტურული რევოლუცია, ინდუსტრიალიზაცია, სკოლის პოლიტეხნიზაცია, გადახრები პარტიაში და სხვ.).

3. კურსზე დამუშავდება:

- 1) ბავშთა კომმოდრობის რაობა და მისი ადგილი კომუნისტური აღზრდის სისტემაში.
- 2) პიონერ-ორგანიზაციების მონაწილეობა კულტურულ მშენებლობასა და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაში.
- 3) ბავშთა კომმოდრობის ისტორია.
- 4) ინტერნაციონალური აღზრდა და ბავშვის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა.
- 5) სკოლის პოლიტეხნიზაცია და ბავშთა შორის საკითხები.
- 6) ძირითადი საკითხები პედოლოგიიდან და პედაგოგიიდან და სხვა.

დაუსწრებელი კურსები მსმენელებს პერიოდიულად მიაწოდებს განაკვეთებს სამუშაო მასალიდან და, საჭირო ლიტერატურის დასახელებით, მუშაობის დაწყებამდე ადგილობრივ ჩატარებულ იქნება მსმენელთა კონფერენციები, სადაც დამუშავდება კურსების მუშაობის გეგმა.

მუშაობის პროცესში მოეწყობა სესიები, ამ სესიებზე გაუშქდება ის საკითხები, რომელთა დამუშავება დამოუკიდებლად მსმენელთათვის შეუძლებელია და მოითხოვს სემინარულ და ლაბორატორულ მუშაობას.

რომ შემოხსენებული მიმართულებით ჩაატარონ მსმენელებმა ნორმალური მუშაობა, საჭიროა ადგილობრივმა ს.ა.ლ.კ.კ. რაიკომებმა აღმოუჩინონ სათანადო დახმარება მსმენელებს, რის შედეგად უნდა მივიღოთ მათი მუშაობის ნაყოფიერების ეფექტი, როგორც პიონერ-ორგანიზაციებში, ისე საზოგადოებრივ ახპარეზე.

კურსები მსმენელებს მიაწვდის ყოველგვარ მასალას და სახელმძღვანელოებს უფასოდ.

კურსები ექვსთვიანია, ორი სექტორით: რუსულ და ქართულ ენაზე.

ს.ა.ლ.კ.კ. ცეკას ბ.კ.ო. ბიურო

სახალხო განათ. კადრების კვალიფიკაციის ასამაღ. ინსტიტუტი.




სურათები თვითმპყრობელობის დამოხრების დღეებიდან. მხატვრობა ტიმოფევის.

რედაქტორი: საკელაქციო კოლეგია


ეუროპელი ხალხის მტრები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე




ბრალდებულ გრომანის და მოწმე ლარიჩევის დაპირისპირება.




დამნაშაუენი: გინზბურგი, გრომანი და მოწმე რამზინი.



ბრალდებულნი რადიოთი უსმენენ.



უზენაესი სასამართლო. ბრალდებულის დაკითხვა.



სასამართლოს დარბაზი.